პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 74 (10468) | ოთხშაბათი, 28 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

საერთაშორისო თანამშრომლობის შთამაგონებელი მაგალითი

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო თათბირმა, რომელიც ურთიერთგაგებისა და გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თერთმეტი სახელმწიფოს — ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

თათბირის მონაწილეებმა დადეს შეთანხმება ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მოწყობის შესახებ. ამით დასაბამი მიეცა ატომგულის შესწავლის დიდ და რთულ საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ახალ ეტაპს. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა გაერთიანებული ღონისძიებანი თანამედროვე ფიზიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის, სახავს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების კიდევ უფრო მეტ პერსპექტივებს.

გამოხატეს რა ხალხთა მისწრაფება მშვიდობისა და პროგრესისადმი, თათბირის მონაწილეები მივიდნენ ერთსულოვან აზრამდე, რომ საჭიროა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობა ატომგულის ფიზიკის დარგის თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევაში, რათა გაფართოვდეს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობანი.

ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტი თავის საქმიანობას დაიწყებს წესდების საფუძველზე, რომლის პროექტს მოამზადებს ამ სამეცნიერო დაწესებულების დირექცია და დაამტკიცებენ ინსტიტუტის წევრ სახელმწიფოთა მთავრობები. მისი თანასწორუფლებიანი წევრია ყველა სახელმწიფო, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას.

ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მუშაობის წარმატება უზრუნველყოფილია იმით, რომ მისი საქმიანობა პირველი დღეებიდანვე გაჩაღდება პირველხარისხოვანი სამეცნიერო-საკვლევი მოწყობილობის ბაზაზე, რომელსაც მას გადასცემს საბჭოთა სახელმწიფო.

თავის ნაყოფიერ საქმიანობაში ადამიანის საკეთილდღეოდ ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტი დაეყრდნობა მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც ამ საქმეში შეიძინეს ინსტიტუტის წევრმა ქვეყნებმა, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკის ერთგული საბჭოთა კავშირი იბრძვის ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდისა და გამოყენების აკრძალვისათვის, უჩვენებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის ფართოდ გამოყენების მაგალითს. ატომის ენერგიას სულ უფრო მეტად იყენებენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მედიცინაში, მეცნიერულ კვლევაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ ახლა უკვე შორს არ არის ის დრო, როცა სსრ კავშირში ფართოდ იქნება ჩაყენებული ადამიანის სამსახურში ატომის ენერგია და თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა მიღწევები, კიდევ უფრო სრულად იქნება გამოყენებული წიაღის სიმდიდრე, დამორჩილებული იქნება მძლავრი მდინარეები, ათვისებული იქნება მიწის ახალი უდიდესი მასივები.

განუხრელად აფართოებს რა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების სფეროს, საბჭოთა კავშირი ამასთან ერთად თავის გამოცდილებას ამ საქმეში უზიარებს სხვა სახელმწიფოებს. დახმარებას უწევს მთელ რიგ ქვეყნებს ატომგულის ფიზიკისა და ატომის ტექნიკის განვითარებაში, სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადებაში.

მეგობრული სახელმწიფოებისადმი ეს უანგარო დახმარება მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობასა და ჰუმანიზმს. საბჭოთა კავშირი გაერთიანებულ ინსტიტუტს გადასცემს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტს და ელექტროფიზიკურ ლაბორატორიას ატომგულის შესასწავლი მათი გიგანტური დამჩქარებელი დანადგარებით, რომლებიც შექმნეს საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა. გაერთიანებული ინსტიტუტი თავის განკარგულებაში მიიღებს მსოფლიოში უდიდეს სინქროციკლოტრონს, რომელიც ნავარაუდევია პროტონების დასაჩქარებლად 680 მილიონ ელექტრონვოლტის ენერგიამდე, აგრეთვე მსოფლიოში ყველაზე მძლავრ სინქროფაზოტრონს, რომლის დახმარებით შეიძლება პროტონების დაჩქარება ათ მილიარდ ელექტრონვოლტ ენერგიამდე. გაეცნენ რა ამ დანადგარებს, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა გამოთქვეს თავიანთი აღტაცება და ხაზგასმით აღნიშნეს საბჭოთა ატომური ტექნიკის თვალსაჩინო წარმატებანი.

„საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა, — აღნიშნა შთაბეჭდილებათა წიგნში საერთაშორისო თათბირზე ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა ლიუ ძემ, — თავიანთი შემოქმედებითი მეცადინეობით შექმნეს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი სინქროფაზოტრონი — დამუხტული ნაწილაკების დამჩქარებელი, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერების შემდგომ განვითარებას. მეგობრული სახელმწიფოები ერთობლივად ისარგებლებენ ამ უდიდესი დანადგარით. კერძოდ, იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეცნიერული ცოდნის დონის ამაღლებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმის განვითარებას ჩინეთში". „პოლონეთის დელეგაციაზე, — განაცხადა პროფესორმა ბრონისლავ ბურასმა, — უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ფიზიკოსებისა და ინჟინრების — მსოფლიოში ყველაზე დიდი სინქროფაზოტრონის შემქმნელთა დიდმა წარმატებამ".

ატომგულის ფიზიკის დარგში კვლევის შემდგომი განვითარების მიზნით გაერთიანებულ ინსტიტუტში გათვალისწინებულია აიგოს თეორიული ფიზიკის ლაბორატორია გასაანგარიშებელი განყოფილებით და ელექტრონგამომთვლელი მანქანებით, ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორია ატომგულის ექსპერიმენტული რეაქტორით, ციკლოტრონი, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა ელემენტის მრავალმუხტიანი იონების დასაჩქარებლად და მათზე ექსპერიმენტული მუშაობისათვის. განხილულ იქნება აგრეთვე კოსმიური სხივების ლაბორატორიისა და სხვა საექსპერიმენტო დანადგარებისა და ლაბორატორიების მოწყობის საკითხები. თვითეული სახელმწიფო, რომელიც ინსტიტუტის წევრია, მონაწილეობას მიიღებს მის მატერიალურ უზრუნველყოფაში, ყოველწლიურად გადაიხდის ფულად შესატანს ინსტიტუტის შესანახავად და მასში ახალი სამეცნიერო-საკვლევი ობიექტების ასაგებად.

დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელსაც ახალი ინსტიტუტი გააჩაღებს, შესაძლებელს გახდის გადაიჭრას თანამედროვე ფიზიკის უდიდესი პრობლემები, ჩაყენებულ იქნას მისი მიღწევები პროგრესის სამსახურში.

ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის თვითეული წევრი სახელმწიფო თავის წვლილს შეიტანს თანამედროვე ფიზიკის განვითარების საქმეში, გაამდიდრებს მეცნიერებას თავის მეცნიერთა და ინჟინერთა ძვირფასი გამოცდილებით. ინსტიტუტის წევრი ყველა ქვეყნის ფიზიკოსები შესანიშნავ შესაძლებლობებს მიიღებენ მეცნიერული შემოქმედებისათვის, ახალგაზრდა კადრების მოსამზადებლად იმ დონეზე, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს.

ატომგულის საკვლევი ახალი ინსტიტუტი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები აქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ თათბირის მონაწილეებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნეს მიწვევა გახდეს ახალი სამეცნიერო დაწესებულების წევრი. ინსტიტუტის დირექციას დაევალა განიხილოს საკითხი ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სხვა სახელმწიფოთა მოწვევის შესახებ.

გუშინ ხელმოწერილი შეთანხმება ითვალისწინებს, რომ სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც მომავალში მოისურვებენ მონაწილეობა მიიღონ ინსტიტუტის მუშაობაში, შეუძლიათ განაცხადონ, რომ ეთანხმებიან დადებული შეთანხმების დებულებებს და ინსტიტუტის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით გახდნენ მისი თანასწორუფლებიანი წევრები.

მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდება ცნობას ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის შექმნის შესახებ. გახდება რა ატომგულის შესწავლის დარგში სამეცნიერო-კვლევითი აზროვნების დიდი კერა, იგი მეცნიერებასა და ტექნიკას გაამდიდრებს ახალი აღმოჩენებით, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

„პრავდის" 27/III მოწინავე.

გადმოიღეს მოსკოველთა გამოცდილება



სურათზე: ი. ლომთაძე (წინა პლანზე) სახარატო დაზგასთან მუშაობის დროს.

თბილისის კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხანა ხრახნსაჭრელ-სახარატო ჩარხებს, სახარატო თვითმაცენტრირებელ ვაზნებს აწვდის მოსკოვის, კალინინის, ვიბორგის, სიმფეროპოლისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ქარხნებს; სტალინგრადიდან, ზაპოროჟიედან, იჟევსკიდან იღებს სხვადასხვა მოწყობილობას. ქარხნის კოლექტივი თავდადებით იბრძვის, რომ უფრო მეტი რაოდენობით მიაწოდოს სამშობლოს თავისი პროდუქცია, გააუმჯობესოს მისი ხარისხი.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს: პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულება შეამცირონ 1,5 პროცენტით, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 5 სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხი და 300 ცალი სახარატო თვითმაცენტრირებელი ვაზნა.

ამ სერიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში ქარხანას დიდად უწყობს ხელს მეგობრული ურთიერთობა მოსკოვის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანასთან. ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს, როცა თბილისელებს სახარატო თვითმაცენტრირებელი ვაზნების გამოშვება უნდა დაეწყოთ, მათ გამოცდილების გაზიარების მიზნით მიმართეს მოსკოველებს. ტექნოლოგი გ. შანშიაშვილი, რაციონალიზატორები ი. სემიონოვი, ა. ანტონიანი მოსკოვში დეტალურად გაეცნენ თვითმაცენტრირებელი ვაზნების დამუშავების ტექნოლოგიას; მოსკოვის ქარხნიდან მათ გამოყვენენ სპეციალისტები, რომელთა დახმარებით ქარხანამ მოკლე დროში აითვისა ამ პროდუქციის წარმოება და ამჟამად მასობრივად უშვებს მას.

წელს ამ ქარხნის კოლექტივი კიევის ლითონსამსხმელო ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება. გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული — მუშა მუშას ეჯიბრება, ცვლა — ცვლას... ენერგიული, თავდადებული შრომით გაითქვა სახელი ახალგაზრდა ხარატმა ი. ლომთაძემ; მან 1954 წელს დაამთავრა ქლუხორის სახელოსნო სასწავლებელი და ახლა ამ ქარხანაში მუშაობს. ის მალე დაოსტატდა და ბევრი გამოცდილი მუშა ჩამოიტოვა — 240-250 პროცენტით ასრულებს დავალებას. ასევე ბეჯითად შრომობენ ხარატები გ. აბულაშვილი, გ. კობახიძე, მეყალიბეები ი. დეკანოსიძე, ვ. გაბიევი და სხვ.

თებერვლის საწარმოო გეგმა ქარხანამ 108,2 პროცენტით შეასრულა; უკეთესი მაჩვენებლები აქვს მარტში — 27 რიცხვისათვის გაანაღდა თვის დავალება და ახლა გეგმის გადამეტებით უშვებს პროდუქციას. ქარხნის მოწინავე მუშები, ინჟინრები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან დეტალების დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას.

გოჩაჯიხაიშელ მეაბრეშუმეთა ვალდებულება

წულუკიძე. („კომუნისტის" კორ.). აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღების საქმეში გასულ წელს სერიოზული მუშაობა გასწიეს გოჩაჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა. მათ პარკის დამზადების წლიური დავალება 144,2 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.287 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩააბარეს 20.600 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი.

მეაბრეშუმეებმა ამ წარმატებას საკვები ბაზის განმტკიცებით და აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად მიაღწიეს.

კოლმეურნეობას აქვს 20 ჰექტარი „ქართული" ჯიშის თუთის პლანტაცია, რასაც კოლმეურნეები გულმოდგინედ უვლიან.

გოჩაჯიხაიშელი მეაბრეშუმეები ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ წელს კიდევ უფრო გააუმჯობესონ აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობა და ერთ კოლოფ თესლზე საშუალოდ მიიღონ სულ მცირე 54 კილოგრამი პარკი.

ტეხურის საბჭოთა მეურნეობაში

ცხაკაია. (საკ. კორ.). მდინარეების რიონისა და ტეხურის შესართავთან მდებარეობს ტეხურის საბჭოთა მეურნეობა. შარშან აქ გაშენდა 50 ჰექტარი თხილის და 5 ჰექტარი დაფნის პლანტაცია. საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია ციტრუსოვანთა სანერგეებს. 35 ჰექტარზეა ხურმის პლანტაცია. მეურნეობამ გასულ წელს სახელმწიფოს მისცა 47 ათასი მანეთი მოგება.

დიდი ყურადღება ექცევა მარცვლეული მეურნეობის განვითარებას. წელს დაითესება 100 ჰექტარი სიმინდი. მიმდინარეობს ყამირის ათვისების სამუშაოები. მეურნეობაში ირგვება მარადმწვანე მცენარეები, ქარსაფარი ზოლები.

მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად აგებულია კეთილმოწყობილი სახლები, გაყვანილია ელექტროშუქი, რადიო.

★



წელს მახარაძის მტს-ის მექანიზატორებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და თავდადებით იბრძვიან საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის.

სურათზე: ტრაქტორისტ რეზო ვაშალომიძისა და მიმბმელ იაკინთე ქავჟარაძის აგრეგატი, რომელიც ყოველდღიურად 6,5-7 ჰექტარს ხნავს ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 5,5 ჰექტარისა.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

ბლუმინგის საამქროს მგლინავთა ძვირფასი თაოსნობა

რუსთავი. (საკ. კორ.). მარტში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილნამზადის საამქროს დგანი „900" დროებით მწყობრიდან გამოვიდა. ამან მილსაგლინავი საამქროს მუშაობას შეფერხების საფრთხე შეუქმნა, მაგრამ ბლუმინგის საამქროს ნოვატორებმა უფროსმა ოპერატორებმა ი. მეტრეველმა, ა. გზირიშვილმა, გ. კოროვნიჩენკომ, ი. მჭედლიშვილმა, მანიპულატორებმა ს. ბიძინაშვილმა, ზ. ძამუკაშვილმა, შ. ხეჩიაშვილმა და სხვებმა მდგომარეობიდან გამოსავალი ჰპოვეს. მათი წინადადებით ამ დღეებში დგან „100"-ის ლილვებზე გააკეთეს ახალი კალიბრი, რამაც უზრუნველყო მსხვილი დიამეტრის მილნამზადის გაგლინვა უშუალოდ ბლუმინგის საამქროში. ეს ღონისძიება, რაც მეტად იშვიათია მეტალურგიულ მრეწველობაში, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საამქროს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, ზოგავს საწვავსა და ელექტროენერგიას. პირველსავე დღეს ბ. ვილგერმანის ცვლამ გლინვის გეგმა 119 პროცენტით შეასრულა და მილმგლინავებს ასობით ტონა მილნამზადი მიაწოდა.

ამჟამად ბლუმინგის საამქროს მგლინავები ითვისებენ მილნამზადისა და სამჭედლონამზადის სხვა პროფილების ნაგლინთა წარმოების ტექნოლოგიას.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება

ჩოხატაურის რაიონმა 25 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულა ხორცის, რძისა და კვერცხის სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები.

დედის მადლობა

ეს სულ ახლახან იყო. დრო მალე გარბის, და ეს წლებიც ისე გათავდა, რომ ახლა, როდესაც მე მოსწავლე კი არა, უკვე მასწავლებელი შევდივარ კლასში, ვხედავ მერხებთან მჯდომ ბიჭუნებსა და გოგონებს, ერთს ვფიქრობ: „განა თითქოს გუშინ არ იყო, რომ მეითონ ვუჯექი ამ მერხს და თვალებში შევყურებდი მასწავლებელს?"

ახლაც აი უკვე სამი წელია, რაც კვლავინდებურად ყოველ დილით მივდივარ სასწავლებელში, მაგრამ უკვე არა როგორც მოწაფე, არამედ როგორც მასწავლებელი, აღმზრდელი.

მაგრამ მარტო ეს როდი ავსებს ჩემს ცხოვრებას. მე დედაც ვარ, ბედნიერი დედა. ჩემი თემური ოთხი წლისა არის, და იმდენი მოვლა და პატრონობა სჭირდება, რომ მოხვენება არა მაქვს. მაგრამ დაღლას არა ვგრძნობ, ზრუნვა და ფიქრი საყვარელ შვილზე რომელ დედას დაღლის. პირიქით, ძალას მატებს, ფრთებს გამოასხამს, ათჯერ უფრო მეტსაც გააკეთებინებს.

ჩემი ოჯახი ახლადშექმნილი ბედნიერი ოჯახია. ამას წინათ ახალი კეთილმოწყობილი ბინაც მივიღეთ. ვუყურებ ჩემს თემურს და სულ უფრო ღრმად ვრწმუნდები, რომ მისი მომავალი კიდევ უფრო ბედნიერი და უკეთესი იქნება. ვხედავ, დღითიდღე როგორ უმჯობესდება ჩვენი ცხოვრება, და ამიტომ მჯერა თემურის მომავალი.

გუშინ კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი მოიტანეს გაზეთებმა. საყვარელი პარტიისა და მთავრობისადმი ღრმა მადლობის გრძნობით წავიკითხე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ხანგრძლივობის გადიდების შესახებ. შვებულება 112 კალენდარული დღით 77 დღის მაგიერ, ამასთან ამ პერიოდში დახმარების გაცემა დადგენილი წესით! ეს ძალიან კარგია!..

ადამიანზე ზრუნვა, ჩვენი კეთილდღეობა ყველას ახარებს. მაგრამ 26 მარტის ბრძანებულება ყველაზე უფრო მე მახარებს — მე ხომ სულ მალე მეორე შვილსაც ველი!..

მე დედა ვარ და ვამაყობ ჩემი მდგომარეობით, ვამაყობ და ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენს დიად ქვეყანაში დედა ასეთი ზრუნვით, ასეთი ყურადღებითა და საყოველთაო სიყვარულით არის გარემოსილი.

ლ. დოლიძე,
თბილისის გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელი.

ფეიქარ ქალთა სიხარული

საამქროებში დადუმდნენ დაზგები. შესვენების საათი დაიწყო. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფეიქარ ქალთა ერთი ჯგუფი ბიბლიოთეკაში შეიკრიბა.

— როდესაც 1960 წლის სიმაღლიდან უყურებთ საბჭოთა ქალების, საბჭოთა დედების ცხოვრებას, სიამაყის გრძნობა გიპყრობთ, უფრო მძლავრად გაისმის სიტყვები: „საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე", — ამბობს მოწინავე მქსოველი, მომავალი დედა ჟუჟუნა ფიცხელაური. — არ გაივლის დიდი ხანი და მაღაზიების თაროები აივსება საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოებით, სარეცხი და საკერავი მანქანებით, სამზარეულოს გაუმჯობესებული ინვენტარით—ყოველივე იმით, რაც ამსუბუქებს ქალის შრომას ოჯახში.

— მეექვსე ხუთწლედში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების, სამრეცხაოების, ატელიეების, ტანისამოსის და ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნოების ქსელის გაფართოება, შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლა დიდად დაგვეხმარება მეტი ყურადღება მივაქციოთ ბავშვებს, აღვზარდოთ ისინი სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის სულისკვეთებით,— დასძინეს სხვებმა.

—დედისა და ბავშვისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ხანგრძლივობის გადიდების შესახებ". ჩვენ, საბჭოთა ქალებს, ყველა პირობას გვიქმნიან, რომ სამშობლოს აღვუზარდოთ სახელოვანი შვილები, ვიყოთ კარგი დედები, — აცხადებს მქსოველი თინა ოდიშელიძე.

ფეიქარი ქალები დედებისათვის პარტიისა და მთავრობის ასეთ ზრუნვას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ ი. ი. შტაერმანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ

სამშენებლო მეცნიერებათა დარგში დამსახურებისათვის დაბადებიდან სამოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით მიენიჭოს ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროფესორს იული იაკობის-ძე შტაერმანს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

თბილისი, 1956 წ. 27 მარტი.

ქართულად გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი

სახელგამმა ცალკე ბროშურებად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ბროშურები გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენი საბრძოლო პროგრამაა

მშრომელთა წერილების მიმოხილვა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვანი მოწონებითა და მძლავრი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ყველგან — საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებსა და შემოქმედებითი ორგანიზაციებში მრავალი ასეული ათასი მშრომელი უდიდესი ინტერესით სწავლობს პარტიის XX ყრილობის მასალებს. მშრომელები XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად იღებენ ახალ, გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს და უფრო მეტი ძალით აჩაღებენ ბრძოლას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ამის შესახებ მოგვითხრობენ მშრომელები ჩვენი გაზეთისათვის გამოგზავნილ წერილებში.

— ჩვენი დეპოს ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშა-მოსამსახურეები, — გვწერს ხაშურის სალოკომოტივო დეპოს პარტბიუროს მდივანი გ. ნოზაძე, — სულით და გულით იწონებენ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ ელმავლის მემანქანეები დ. გასიშვილი, ი. ლაბაძე, ვ. ოყროშიძე, მეორთქლმავლეები ტ. ბლიაძე, ა. ქელბაქიანი და სხვები.

ფოთის ნავსადგურის მეორე საწარმო რაიონის მტვირთავთა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შესახებ მოგვითხრობს თავის წერილში უფროსი დისპეტჩერი, აგიტატორი ა. თოფურია.

— სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, — გვწერს იგი, — მუშები იკრიბებიან წითელ კუთხეში, — სადაც გამოფენილია XX ყრილობისადმი მიძღვნილი ლიტერატურა, პლაკატები, ლოზუნგები. ყოველ საუბარს მჭიდროდ ვუკავშირებთ ნავსადგურის ყოველდღიურ ცხოვრებას, ვააშკარავებთ მუშაობის ნაკლოვანებებს, ვსწავლობთ მოწინავეთა გამოცდილებას. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს იძლევა ბრიგადა, რომელსაც ა. მარინოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ იანვრისა და თებერვლის საწარმოო დავალება ორმაგად შეასრულა.

პარტიის XX ყრილობის მასალების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის დიდი მუშაობაა გაჩაღებული თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის. აქ სისტემატურად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, აგიტატორთა საუბრები. როგორც „კომუნისტის" მკითხველი ნ. ბეროძე გვატყობინებს, კომბინატის კოლექტივს მტკიცე გადაწყვეტილებაა მეექვსე ხუთწლედის დავალება ვადაზე ადრე შეასრულოს.

ქედის რაიონიდან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაზე გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი შ. დარსაველიძე.

საკოლმეურნეო მინდვრებში, — წერს იგი, — თანდათან უფრო ფართოდ ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოები. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში გაცხოველებით ემზადებიან მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხულისათვის. კოლმეურნეები ნ. დავითაძე, თ. სურგულაძე, ა. ალიშანიძე და სხვები ყოველმხრივ მზად არიან საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩასატარებლად. 1956 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრიგადებში, რგოლებში და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ამავე რაიონის სოფელ ცხმორისის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს წელს მნიშვნელოვნად გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობა, უზრუნველყონ მეცხოველეობის განუხრელი აღმავლობა.

სიონშენის პარტორგანიზაციის მდივანი ა. ნადირაშვილი თავის წერილში მოგვითხრობს, თუ რა უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა მშენებელთა შორის. მშენებლები ღრმად სწავლობენ ყრილობის მასალებს.

მშრომელთა წერილებში ნათლად არის გამოხატული მათი უანგარო სიყვარული მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მათი მტკიცე გადაწყვეტილება თავდადებული, პატრიოტული შრომით პრაქტიკულად განახორციელონ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები.

პარტიული აქტივის კრებებზე

სრულვყოთ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები

ჭიათურა. (საქ. კორ.). გაიმართა ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **მ. პ. გიორგაძემ.**

მომხსენებელმა აღნიშნა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ყრილობამ შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი, საბჭოთა ხალხს დაუსახა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამა, მთელი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი აღმავლობის გრანდიოზული ამოცანები.

დაწვრილებით ილაპარაკა რა ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ ამოცანებზე, მომხსენებელმა თქვა, რომ საჭიროა უფრო გაბედულად დავნერგოთ მარგანეცის მრეწველობაში ახალი ტექნიკა, ვიბრძოლოთ ტექნიკური პროგრესისათვის, მოკლე ხანში გადავწყვიტოთ მადნის მონგრევა-დატვირთვის კომპლექსური მექანიზაციის საკითხი, ფართოდ დავნერგოთ მადნის მოპოვება ღია სამუშაოებით, გამოვასწოროთ ჩამორჩენა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობაში. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა პარტიულ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობის გადაჭრით გაძლიერების, მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებზე.

— გასულ წელთან შედარებით 1956 წელს სამშენებლო სამუშაოები სამჯერ გაიზრდება, — თქვა კამათში გამოსულმა ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის ჭიათურის სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ამხ. **შ. ცირეკიძემ.** — მართალია, წელს მშენებლობა უკეთ მიდის, მაგრამ კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობაში.

რკინიგზის ტრანსპორტის მოუქნელ მუშაობაზე ილაპარაკა მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსმა ამხ. **ვ. ლომიძემ.**

რკინიგზის შორაპნის სადგური, — თქვა მან, — ხშირად არ იღებს ჭიათურისათვის განკუთვნილ ტვირთებს, ზოგჯერ ამ ტვირთებს კვირაობით აჩერებს ზესტაფონის, არგვეთის, ბროწეულას სადგურებზე. ამის შედეგად ნიავდება და ფუჭდება სამშენებლო და სხვა მასალები, პროდუქტები.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს დირექტორმა ამხ. **შ. ახვლედიანმა,** სტალინის სახელობის მაღაროს მნგრეველმა ამხ. **ტ. ფოფხაძემ** მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვეს მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა, მასალებისა და მოწყობილობის შეუფერხებელი მიწოდება მაღაროებისათვის.

—ჭიათურელმა მაღაროელებმა,—თქვა ტრესტის მმართველმა ამხ. **შ. შეყლაშვილმა,**—მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ვადამდე სამი თვით ადრე შეასრულეს და სამშობლოს 104 მილიონი მანეთი მოგება მისცეს. ცუდად არ დაგვიწყია ახალი ხუთწლედის პირველი წელიც. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი მაღაროები. ეს ითქმის ვოროშილოვის და დიმიტროვის სახელობის მაღაროებზე.

პარტიის XX ყრილობის მასალების შესასწავლად გაჩაღებულ დიდ მუშაობაზე ილაპარაკეს სტალინისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროების პარტბიუროს მდივნებმა ამხ. **ბ. ცუხიშვილმა, გ. ყიფშიძემ,** მთავარი მექანიკური სახელოსნოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. **დ. ოტიაშვილმა,** კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ო. გოგატიშვილმა.**

— მარგანეცის მრეწველობაში ჯერ კიდევ მტკიცედ არ არის დანერგილი რიტმულობა, დაბალია წარმოების კულტურა, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **შ. ხიდაშელმა.** — ყველა მაღარო, უბანი, ცვლა და ფაბრიკა როდი ასრულებს დავალებას. ბევრია გასაკეთებელი ახალი ტექნიკის დანერგვის, მექანიზმების სრულყოფილად გამოყენების, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების დარგში. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ ეკონომიკის საკითხებს, აღმოფხვრან იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტა პრაქტიკისაგან, ცხოვრებისაგან.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და მტკიცე პირობა მისცეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, გადაჭრით გააუმჯობესებენ პარტიულ-ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობას, შემდგომ სრულყოფენ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს და ამ საფუძველზე უზრუნველყოფენ ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის

თელავი. (საქ. კორ.). რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მოისმინა პარტიის თელავის რაიკომის მდივნის, XX ყრილობის დელეგატის ამხ. **ზ. გელდიაშვილის** მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და თელავის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა და აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოსულებმა აღნიშნეს, რომ გასულ წელს თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა დავალება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის დარგში გადაჭარბებით შეასრულეს, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 24 ცენტნერი სიმინდი.

რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ა. ახათაშვილმა** თავის სიტყვაში თქვა, რომ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მისაღებად. ამ გაზაფხულზე მოსახნავი 1.883 ჰექტარიდან 15 მარტისათვის 647 ჰექტარზე მეტი არ იყო მოხნული. ნელი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში დიდი ყურადღება დაუთმეს მეცხოველეობის განვითარების საკითხებს. პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა და საკვები ბაზის განმტკიცების შედეგად გადიდდა წველადობა. 1955 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 მარტამდე თვითეულ ძროხაზე მიღებულია 271 კილოგრამი რძე ნაცვლად წინა წლის ამავე პერიოდში მიღებული 126 კილოგრამისა. მიუხედავად ამისა, მეცხოველეობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. კოლმეურნეობები ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე მეცხოველეობის ცოტა პროდუქტებს აწარმოებენ. მაგალითად, შარშან ას ჰექტარ სავარგულებზე მიღებულ იქნა 52 ცენტნერი რძე ნაცვლად 106 ცენტნერისა. ღორის ხორცის წარმოებამ 8 ცენტნერს ვერ გადააჭარბა, გეგმა კი 18 ცენტნერს ითვალისწინებს.

მევენახეობას რაიონის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ყურძნის მოსავლიანობის ზრდის დავალებას კოლმეურნეობები სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ. აქტივის კრებაზე გამოსულებმა განაცხადეს, რომ რაიონის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული დავალება ყურძნის წარმოების 1,8-ჯერ გადიდების შესახებ შეუძლიათ სამ წელიწადში შეასრულონ.

რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის" თავმჯდომარემ ამხ. **ს. ძამუკაშვილმა** და სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" თავმჯდომარემ ამხ. **ა. მარგალიტოვმა** ილაპარაკეს მევენახეობის შემდგომი განვითარების ხელშემშლელ მიზეზებზე. კოლმეურნეობებს სჭირდებათ ვაზის შესაწამლი აპარატები, სასხლავი მაკრატლები, ვაზის სამყნობი დანები და სხვ., რომლებიც ნაკლებად იშოვება.

პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **გ. მირიმანიშვილმა** ილაპარაკა სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლის მიმდინარეობაზე და თქვა, რომ 1.500-მდე აგიტატორი ყოველდღიურად განუმარტავს მშრომელებს ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს, ყრილობის დირექტივებს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და სხვა მასალებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თელავის მტს-ის დირექტორმა ამხ. **ნ. ჩხოტუამ,** კურდღელაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ცხადაძემ,** პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. **შ. გოგიაშვილმა,** პარტიის რაიკომის მდივანმა თელავის მტს-ის ზონაში ამხ. **ლ. სახიშვილმა,** კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. **მ. მეზვრიშვილმა** და სხვებმა.

აქტივის კრებამ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მხურვალედ მოიწონა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები და გამოთქვა მზადყოფნა აქტიურად იბრძოლოს ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ფორმალიზმის ტყვეობაში

კოლხიდის მიწამ შარშან იმედი არ გაამართლა. მართალია, ამინდის პირობებმა შეამცირა სიმინდის მოსავლიანობა, მაგრამ მარტო ამ მიზეზით როდი იყო გამოწვეული დაბალი მოსავლის მიღება. წარსული წლების გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ მიწაზე შეიძლება მოვიყვანოთ ერთწლიანი კულტურების, განსაკუთრებით სიმინდის უხვი მოსავალი. ამისათვის საჭიროა აგროღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელება. მაგრამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ამ წესს არ იცავდნენ ჭალადიდის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში და ამიტომ სიმინდის დაბალი მოსავალი მოჰყავდათ.

გასულ წელს სიმინდის თესვა კოლმეურნეობამ დიდი დაგვიანებით — 21 ივნისს დაამთავრა. ასევე გაჭიანურდა პირველი და მეორე თოხნა. ნათეს ფართობებზე ორგანული და მინერალური სასუქების შეტანისათვის კი თავი არავის შეუწუხებია. ამ მდგომარეობას კოლმეურნეობის გამგეობა მუშახელის სიმცირით ხსნიდა, მაშინ როცა შარშან 338 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 220 კოლმეურნეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია, ხოლო 107 კოლმეურნეს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში.

მეშვიდე ბრიგადას (ბრიგადირი ქ. ნიქაბაძე) სიმინდი დათესილი ჰქონდა 35 ჰექტარზე, მაგრამ იგი აგროტექნიკურ ვადებში არ დაამუშავა და შედეგიც ცუდი მიიღო — 2,9 ცენტნერი ჰექტარზე. ბრიგადებში, რომლებსაც ვ. ხურცილავა, ტ. რიჟამაძე, მ. ფაღავა ხელმძღვანელობდნენ საშუალო მოსავალი ჰექტარზე 3 ცენტნერს არ გასცილებია. კოლმეურნეობამ 369 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მხოლოდ 6,6 ცენტნერი სიმინდი მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. მდინარე ციაზე კოლხიდმშენს უნდა აეგო წყალსაქაჩავი სადგური. იგი არხებში ჩამდგარ ჭარბ წყალს ზღვაში გადაუშვებდა, რაც ხელს შეუწყობდა მოსავლიანობის გადიდებას. მაგრამ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო სამი წელია აჭიანურებს სადგურის მშენებლობას.

კოლმეურნეობამ გასულ სამეურნეო წელს ვერ შეასრულა წველადობის გეგმა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის დავალება პირუტყვის საკუთარი მომრავლების გზით კი არ შესრულებულა, არამედ შესყიდვით. 1955 წელს 95 სული ნამატის ნაცვლად მიღებულია 72. ეს გეგმის 70 პროცენტს შეადგენს. ასეთივე მდგომარეობაა ღორის სულადობის ზრდაში.

კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგიც არის, რომ სუსტად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. პარტბიურო არ ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობის გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი. მართალია, პარტიულ კრებებზე ზოგჯერ განიხილავენ საკოლმეურნეო საკითხებს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობას, მაგრამ მიღებული დადგენილებები ქაღალდზე რჩება. პარტბიურო არ ამოწმებს მათს შესრულებას.

ჭალადიდელ კოლმეურნეებს სიმინდის მოსავლიანობასა და ძროხების წველადობაში მეტი წარმატება ექნებოდათ, ცალკეულ კოლმეურნეებსა და ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს რომ არ ატარებდეს. დღემდე არავის არ შეუმოწმებია, თუ ვინ როგორ გაანაღდა აღებული ვალდებულებანი. ეს საკითხი პარტიულ კრებაზე მსჯელობის საგნად არ გამხდარა, პარტიული ორგანიზაცია დაინტერესებას არ იჩენს, თუ როგორ მიმდინარეობს შეჯიბრება, არ ახდენს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, სუსტად ეხმარება ჩამორჩენილებს.

ჭალადიდის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობას გასულ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავდა იმავე სოფლის კოლმეურნეობა „სოციალიზმი". ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 5 მაისამდე დაემთავრებინა საგაზაფხულო კულტურების თესვა, სამჯერ მოეხდინა სიმინდის თოხნა-კულტივაცია, თვითეულ ჰექტარზე მიეღო 25 ცენტნერი სიმინდი, 8 ცენტნერი სოია და 8 ცენტნერი ლობიო, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე — 630 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 600 ლიტრისა, ღორის სულადობა 270 სულამდე გაეზარდა, მათ შორის დედაღორისა— 55 სულამდე, საშუალოდ ერთ დედაღორზე მიეღო 13 გოჭი.

ეს ვალდებულებანი არ შესრულებულა, პირობა ქაღალდზე დარჩა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს. მოსალოდნელი იყო, რომ ჭალადიდის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გარდაქმნიდა მუშაობას და მათ კონკრეტული საქმეებით უპასუხებდა. კოლმეურნეობაში ზოგადი ვალდებულებანი იკისრეს. მაგალითად, ბრიგადირ ლ. ბუცხრიკიძის ვალდებულება ასეთია: ნათესის თვითეულ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით მოიყვანოს უხვი (!) მოსავალი, მაქსიმალურად გამოიყენოს მუშახელი, გამწევი ძალა და აგროვადებში დაამთავროს ყველა სამუშაო. ასევე მოიქცნენ პირველი და მესამე ბრიგადები. პარტიული ორგანიზაცია არ ფიქრობს სათავეში ჩაუდგეს სოციალისტური შეჯიბრების საქმეს.

კოლმეურნეობაში იშვიათად ეწყობა საწარმოო თათბირები. არ აფორმებენ და არ აღრიცხავენ კოლმეურნეთა პრაქტიკულ წინადადებებს. ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას. დაბალ დონეზე დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები სისტემატურად არ აწყობენ საუბრებს. ჩატარებულ საუბრებსაც არ უკავშირებენ პრაქტიკულ, ყოველდღიურ საქმიანობას.

სამწუხაროდ, ამ კოლმეურნეობის მაგალითი ფოთში გამონაკლისი როდია. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ პატარა ფოთის კოლმეურნეობაშია. შემოწმებამ ნათლად გვიჩვენა, რომ პატარა ფოთის კოლმეურნეობამ ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ რძის მიღებაში შეასრულა, დანარჩენი მუხლები კი შეუსრულებელი დარჩა.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ასეთი ფორმალური დამოკიდებულება შეუწყნარებელია. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, უნარიანად გამოიყენონ კოლმეურნეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, რაც მათ მინიჭებული აქვთ სკკპ წესდებით, დარაზმონ მასები პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტი.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ქიმიური კომბინატის მოწინავე მუშები (მარცხნიდან) გ. ჯავახიშვილი და პ. შევჩენკო, რომლებიც თუთიის მათეთრას დაფქვაზე მუშაობენ და ყოველდღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოწინავე ფაბრიკა

ბათუმი. (საქ. კორ.). ჩაის ფოთლის კრეფა-გადამუშავების სეზონისათვის მზადებაში დაწინაურდა ბათუმის ჩაის ფაბრიკა. ფაბრიკამ 157 პროცენტით გაანაღდა ლაო-ჩაის გადამუშავების საგაზაფხულო გეგმა და ახლა წარმატებით ამუშავებს კოფეინის მასალას. მიმდინარე წლის აპრილის პირველ რიცხვებში ფაბრიკა ბათუმის კოფეინის ქარხანას მიაწვდის 320 ტონაზე მეტ საკოფეინე ნედლეულს და ამით მთლიანად შეასრულებს დავალებას.

შეკეთებული და წესრიგში მოყვანილია საღნობი აგრეგატები, საგრეხი, სახმობი, დამხარისხებელი მანქანები და ღუმელები, მომზადებულია საფერმენტაციო და სატრანსპორტო ყუთები, ავტოტრანსპორტი და სხვ.

სეზონისათვის მზადებაში თავი ისახელეს ზეინკალმა ნ. გურიევმა, მექანიკოსმა ა. ცინცაძემ და ელექტრომონტიორმა გ. ცინცაძემ.

ფაბრიკამ წელს სეზონზე უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 2 მილიონამდე კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წელს 4-6 პროცენტით გადააჭარბოს უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმას, გეგმასთან შედარებით თვითღირებულება შეამციროს 1 პროცენტით, დაზოგოს სათბობი და ელექტროენერგია 3 პროცენტით, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს ნახევარ მილიონ მანეთამდე მოგება.

ფაბრიკის კოლექტივი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში ამავე რაიონის ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის კოლექტივთან.

ზრდიან პირუტყვის პროდუქტიულობას

ხაშური. (საქ. კორ.). სოფელ ხავლეთის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის აღმავლობისათვის სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა. შარშან საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 923 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრისა.

კოლმეურნეობაში კარგად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება. ძროხები უზრუნველყოფილი არიან ყუათიანი საკვებით. ახალი სამეურნეო წლიდან წველადობაში მიღწეულია კარგი შედეგი. 15 მარტისათვის საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იყო 223 ლიტრი რძე ნაცვლად გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდში მიღებული 142 ლიტრისა. ამასთან მთლიანად შენარჩუნებულია მიღებული ნამატი.

საბჭოთა მთავრობის ნოტა

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 6 თებერვალს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას გადაეცა საბჭოთა მთავრობის ნოტა იმის შესახებ, რომ ამერიკის სამხედრო ორგანოები გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიას იყენებენ, რათა საჰაერო ბურთები შემოუშვან საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცის ფარგლებში.

6 მარტს სსრ კავშირის საელჩომ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის შემდეგი საპასუხო ნოტა:

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის 1956 წლის 6 მარტის ნოტა საბჭოთა მთავრობისადმი

„საგარეო საქმეთა სამინისტროს პატივი აქვს დაუდასტუროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩოს, რომ მიიღო მისი მიმდინარე წლის 6 თებერვლის ვერბალური ნოტა ამერიკაში გაკეთებული საჰაერო ბურთების საბჭოთა ტერიტორიაზე ფრენის შესახებ, და აცნობოს ამაზე შემდეგი:

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიმდინარე წლის 8 თებერვლის ვერბალური ნოტით აცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას, რომ მეტეოროლოგიური საჰაერო ბურთების გაშვება ჯერჯერობით შეწყდება, რამდენადაც არსებული გამოცდილების საფუძველზე ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ შესაძლებელია ეს ბურთები გადავიდეს საბჭოთა ტერიტორიაზე. ამით ფედერალური მთავრობის აზრით, გადაიჭრა ეს საკითხი.

საელჩოს ვერბალურ ნოტაში შემდეგ ნახსენებია, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა საჰაერო ბურთები, რომლებზეც როგორც ტვირთი ჩამოკიდებული იყო ფურცლები და სხვა პროპაგანდისტული მასალა, რომლის შინაარსი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც ნოტა მოგვაგონებს, შესაბამისი განცხადება უკვე გაკეთდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობათა დელეგაციების მოსკოვის მოლაპარაკების დროს გასული წლის სექტემბერში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის ამ განცხადების პასუხად მოეწყო გამოკვლევა, რომლის შედეგადაც დადგენილია, რომ ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიიდან არ ყოფილა გაშვებული არავითარი საჰაერო ბურთი პოლიტიკური და სხვა პროპაგანდის გასავრცელებლად საბჭოთა კავშირში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს ამ შემთხვევით, რათა კვლავ დაუდასტუროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩოს თავისი დიდი პატივისცემა".

24 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვილჰელმ ჰაასი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის შემდეგი შინაარსის ნოტა:

საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 24 მარტის ნოტა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი

„გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის მიმდინარე წლის 6 მარტის ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც არის პასუხი საბჭოთა მთავრობის მიმდინარე წლის 6 თებერვლის ნოტისა იმ საკითხზე, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიას იყენებენ, რათა ამერიკის საჰაერო ბურთები შემოუშვან სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

6 თებერვლის ნოტაში საბჭოთა მთავრობამ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამ უკანასკნელ ხანს არაერთხელ დაირღვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული ხელშეუხებლობა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიიდან ამერიკის საჰაერო ბურთების შემოშვებასთან დაკავშირებით, რომლებზეც ეკიდა ტვირთი, რაც შედგებოდა ზოგ შემთხვევაში აპარატურისაგან, რომელიც შეიცავს ავტომატურად მოქმედ ფოტოკამერებს ტერიტორიის გადასაღებად დაზვერვის მიზნით, რადიოგადამცემებს, რადიომიმღებებს და სხვ., ზოგ შემთხვევაში — საბჭოთა კავშირისადმი მტრული შინაარსის ფურცლებისა და სხვა პროპაგანდისტული ლიტერატურისაგან. ამასთან საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვდა, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობამ მიიღოს სასწრაფო და ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებითაც გამორიცხული იქნება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მხრივ სსრ კავშირის საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობის დარღვევა.

თავის 6 მარტის ნოტაში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიას იყენებენ სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის საჰაერო ბურთების შემოსაშვებად, რომლებსაც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის ნოტაში „მეტეოროლოგიური" ეწოდება. ამასთან გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა იმოწმებს ამერიკის მხარის განცხადებას, რომ აღნიშნული ხასიათის ახალი ბურთების შემოშვება ჯერჯერობით შეწყდება.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ დასავლეთ გერმანიიდან საჰაერო სივრცეში შემოშვებული ამერიკის საჰაერო ბურთების „მეტეოროლოგიურ" ბურთებად განსაზღვრა არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ ბურთებზე დაკიდებული მოწყობილობის შესწავლა ცხადყოფს, რომ სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში მათს შემოშვებას, საერთო არა აქვს რა მეტეოროლოგიურ კვლევასთან. საკმარისია ითქვას, რომ ამ ბურთებს, როგორც ამას უკვე ვწერდით, არა აქვთ რაიმე აპარატურა, განკუთვნილი ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების — ატმოსფერული წნევის, ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის გასაზომავად და სხვ. ბურთებზე დაკიდებული აპარატურა, რომლის წონა 650 კილოგრამს აღწევს, დანიშნულია სულ სხვა მიზნებისათვის: ადგილის აეროფოტოგადაღებისა და კოორდინატების განსაზღვრისათვის. თუ რა ნამდვილი დანიშნულება აქვს ამ ბურთებს, რომლებსაც ამერიკის ორგანოები სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში უშვებენ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან, მოწმობს აგრეთვე ბურთებზე დაკიდებულ ფოტოკამერებში აღმოჩენილი ფირი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სურათებით.

თავის ნოტაში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა აგრეთვე ამტკიცებს, თითქოს „ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიიდან არ შემოუგზავნიათ რაიმე საჰაერო ბურთი პოლიტიკური და სხვა პროპაგანდის გასავრცელებლად საბჭოთა კავშირში". ასეთი მტკიცება საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეესაბამება. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მოაგონოთ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა 1955 წლის სექტემბერში მოსკოვში იყო ფედერალური კანცლერი დოქტორი ადენაუერი, მან თვითონ ნახა ეს ბურთები, აღშფოთება გამოთქვა ასეთი ბურთების შემოშვების გამო და განაცხადა, რომ შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებდა. ამჟამად საბჭოთა მთავრობის განკარგულებაშია ბევრი საჰაერო ბურთი, რომლებიც შემოშვებულია დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან და რომლებზეც ჩამოკიდებულია საბჭოთა კავშირისადმი მტრული ხასიათის პროპაგანდისტული ლიტერატურა, ამასთან ზოგიერთი ასეთი ბურთი სულ ამ უკანასკნელ ხანს დაიჭირეს უკვე მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას გადაეცა საბჭოთა მთავრობის 6 თებერვლის ნოტა.

საბჭოთა მთავრობა იძულებულია კვლავ განაცხადოს, რომ მას გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა მიაჩნია იმისათვის პასუხისმგებლად, რომ ამერიკის ორგანოები გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიას იყენებენ ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირის საჰაერო სივრცის უხეშ დარღვევას და დიდ საფრთხეს უქმნის საჰაერო ტრანსპორტს.

სსრ კავშირის მთავრობა მოელის, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა ეფექტიან ღონისძიებებს განახორციელებს, რათა ამიერიდან არ დაუშვას, რომ ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიიდან საჰაერო ბურთები შემოუშვან საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში.

მოსკოვი, 1956 წლის 24 მარტი".

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ელჩმა ჰაასმა განაცხადა, რომ მოყვანილი ნოტის ტექსტს აცნობებს თავის მთავრობას.

სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი დახმარება უნდა გაძლიერდეს

მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, შეგნებული დისციპლინის განმტკიცება მჭიდროდ არის დაკავშირებული კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობასთან.

სადაც სასკოლო კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა უნარიანად შეახამეს თავიანთი საქმიანობა სასკოლო მუშაობასთან, იქ მაღალ დონეზე დგას მოსწავლეთა აკადემიური წარმატება და დისციპლინა, ღრმაშინაარსიანი, მიმზიდველი და საინტერესოა ახალგაზრდობის ცხოვრება.

ლაგოდეხის პიონერთა რაიონულ სახლში სისტემატურად იყრიან თავს პიონერები, რომლებიც გაერთიანებული არიან და მეცადინეობენ სხვადასხვა წრეებში. პიონერთა სახლი პერიოდულად აწყობს საინტერესო ექსკურსიებს, ლაშქრობებს. ბავშვები აქ ეცნობიან მოძმე რესპუბლიკების ქალაქების ცხოვრებას, ისტორიულ წარსულს.

კარგად მუშაობენ კალინოვკის რუსული საშუალო სკოლის, ლაგოდეხის ა. ჭავჭავაძის სახელობის ქართული საშუალო და სხვა სკოლების კომკავშირული ორგანიზაციები.

სამწუხაროდ, რაიონის ბევრი სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაცია ჯერ კიდევ უყურადღებოდ, უინტერესოდ ეკიდება მოსწავლეთა აღზრდის საქმეს. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია მოწყვეტილია სასკოლო ცხოვრებას, სუსტად იბრძვის უდისციპლინო და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა გამოსასწორებლად.

თელის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეთა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა თითქმის ჩაშლილია. არეშფერანის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის კრებები უფერული და არასაინტერესოა, საკითხები მოუმზადებლად გამოაქვთ განსახილველად. ცხადია, ასეთ კრებებს კომკავშირელები უხალისოდ ესწრებიან. კრებებზე ფორმალურად, ვალის მოხდის მიზნით განიხილავენ აკადემიურად ჩამორჩენილ და უდისციპლინო კომკავშირელთა ან პიონერთა საკითხს. ცხადია ასეთ განხილვას არავითარი შედეგი არ მოაქვს. სკოლის 28 კომკავშირელიდან 23 სწავლაში ჩამორჩება.

სასკოლო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეივიწყეს პოლიტექნიკური სწავლება, მჭიდრო კავშირი არა აქვთ მშობლებთან, ცუდად იცნობენ თვითეული მოსწავლის ცხოვრებას.

მაგრამ ეს რა გასაკვირველია, როცა თვით მასწავლებელთა კომკავშირულ ორგანიზაციებშიც მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. თამარიანის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ჩ. ბანცაძეს სრულებით არ აწუხებს ის, რომ კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა თვითდინებაზეა მიშვებული.

სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მათ ნაკლებ ხელმძღვანელობას უწევენ სასკოლო პარტიული ორგანიზაციები. ბევრგან კომკავშირული ორგანიზაციების კრებებს არ ესწრებიან მასწავლებლები, სკოლის დირექციის წარმომადგენლები, კომუნისტები.

მოსწავლეებში შრომისადმი სიყვარულის დანერგვა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მათ სუსტად ეხმარებიან რაიონის პარტიული ორგანიზაციები, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები.

ლაგოდეხის ქართულ და რუსულ, ლელიანის, ვარდისუბნის და აფენის საშუალო სკოლებს გამოყოფილი აქვთ მიწის ნაკვეთები, შექმნილია ტექნიკური წრეები. ლაგოდეხის და ვარდისუბნის მტს-ებმა სკოლებს გადასცეს ერთი ავტომანქანა და 7 ტრაქტორი, სახარატო ჩარხი, სალეწი მანქანა, კულტივატორი, ფარცხი და სხვა მანქანები და დანადგარები. მაგრამ ბევრ სკოლაში არათუ ძრავებისა და იარაღმანქანების გამოყენებაზე არ ფიქრობენ, არამედ ხელგარჯილობის წრეებიც ვერ შექმნეს.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეობათა გამგეობები ქმედით დახმარებას არ უწევენ სკოლებს. გურგენიანის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობას ჯერაც არ გამოუყვია სოფლის სკოლისათვის მიწის ნაკვეთი. ბევრ სკოლაში კი, პირიქით, ვერ იყენებენ სასწავლო ნაკვეთს. სოფელ მსხალგორის 8-წლიან სკოლაში სასკოლო ნაკვეთის ხელმძღვანელობა ფიზკულტურის მასწავლებელს მიანდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით მოითხოვს ავამაღლოთ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების როლი მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ლაგოდეხის რაიონში ეს მოთხოვნა ჯერ კიდევ სუსტად სრულდება.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელთა უკეთ მომსახურებისათვის

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელთა უკეთ მომსახურების მიზნით შეცვლილია სესხების მოგებათა განაღდების მთელი რიგი წესები.

წინათ მოგებას ანაღდებდა რესპუბლიკის მხოლოდ 260 შემნახველი სალარო, ამჟამად კი განაღდება ხდება თითქმის 700 სალაროში. მოგებებს განაღდებენ სასოფლო შემნახველი სალაროების ის სააგენტოებიც, რომლებიც მუშაობენ დაშორებულ ადგილებში. მაგალითად, ბუგეულისა და ურავის (ამბროლაურის რაიონი), ღებისა და ბარის (ონის რაიონი), მექვენის (ქუთაისის რაიონი), ლათის (გულრიფშის რაიონი), აჭყვის (ქობულეთის რაიონი) და სხვ. სოფლების მცხოვრებნი მოგებებს განაღდებენ თავიანთი სოფლის შემნახველ სალაროში.

წინათ ძირეული შემნახველი სალაროები ანაღდებდნენ მოგებას მხოლოდ 500 მანეთამდე მთლიან ობლიგაციაზე, ხოლო ცენტრალური სალაროები 1.000 მანეთამდე. ახალი წესის მიხედვით მოსახლეობას ძირეულ სალაროებში შეუძლია მიიღოს 2.500 მანეთი მოგება, ხოლო ცენტრალურ შემნახველ სალაროებში — თბილისში, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში და ქუთაისში — 5.000 მანეთამდე. ადგილზე განაღდებულ იქნება აგრეთვე 10.000 და 25.000 მანეთიან მოგებათა ნაწილი.

ფეხსაცმლის 92 ახალი მოდელი

მეფეხსაცმელეებმა გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის დიდი ხანია დაიწყეს მზადება. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო საბჭომ ჯერ კიდევ ნოემბერში დაამტკიცა ჩვენი ფაბრიკების მოდელიორების მიერ შექმნილი გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის ფეხსაცმლის 92 ახალი მოდელი და ფასონი.

თბილისის ფეხსაცმლის პირველმა და მეორე ფაბრიკებმა, ქუთაისის კომბინატმა და ბათუმის ფაბრიკამ უნდა შეკერონ 100 ათასი წყვილ კაცისა და 25 ათას წყვილ ბავშვის სანციული რანტით, ხოლო თბილისის პირველმა ფაბრიკამ — 70 ათასი წყვილი ფერადი გაწყობილი ფეხსაცმელი ბავშვებისათვის.

სოხუმისა და ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატები სეზონში დაამზადებენ 60 ათას წყვილ კაცისა და 25 ათას წყვილ ბავშვის სანდალეტს, ხოლო მოლოტოვის სახელობის ბავშვთა ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკა 75 ათას წყვილ სანდალს და სხვადასხვა ფერის ტყავის ბავშვის ღია ფეხსაცმელს.

თბილისის მეხუთე სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა წელს პირველად შეკერავს ქალის მაღალქუსლიან ფეხსაცმელს და აითვისებს ქალის სამოდელო ფეხსაცმლის დამზადებას ღია რანტით.

სურათზე: თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის მოდელიორები ვ. ერაძე (მარცხნივ) და მ. მურადოვი არჩევენ ფეხსაცმლის ახალ ფასონებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

რადიო სოფლად

ამბროლაური. (საკ. კორ.). უკანასკნელი წლების მანძილზე რაიონში სულ უფრო ფართოვდება რადიოქსელი. ამჟამად რადიო გაყვანილი აქვს რაიონის 2 ათასზე მეტ მოსახლეს, ხოლო მიმღები აქვს 1.000 მოსახლეს.

წელს ამბროლაურის კავშირგაბმულობის რაიონული კანტორა კორტის, ველევის, ზნაკვის, საკეციის, წესისა და ბუგეულის კოლმეურნეობებში 800 რადიოწერტს დადგამს. რაიონში არსებულ 14 საკოლმეურნეო რადიოკვანძს ქსელის გაფართოების მიზნით 1.000 წერტი დაემატება. ეს სამუშაო მიმდინარე წლის 15 სექტემბრისათვის დამთავრდება.

დიდი რუსი კომპოზიტორი მ. პ. მუსორგსკი

გარდაცვალების 75 წლისთავის გამო

დღეს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი რუსი კომპოზიტორის მოდესტ პეტრეს-ძე მუსორგსკის გარდაცვალების 75 წლისთავს.

რუსულ მუსიკას, რომელსაც ესოდენ ბევრი გამოჩენილი და ბრწყინვალე ტალანტი მოუცია, შეიძლება ითქვას, არა ჰყავს უფრო ორიგინალური და თავისებური შემოქმედი, ვიდრე მუსორგსკია. მან რუსულ მუსიკაში შემოიყვანა ხალხის მასა — მრავალფეროვანი ტიპებისა და ხასიათების მთელი გალერია.

მუსორგსკიმ მონუმენტურ საოპერო ნაწარმოებებში — „ბორის გოდუნოვსა" და „ხოვანშჩინაში" — გვიჩვენა ხალხის ტრაგედიის მრისხანე სიდიადე. ჩაგრული ხალხის ტანჯვა, მისი ბედუკუღმართობა, მისი სტიქიური მეამბოხეობა პირველად და მანამდე უმაგალითო ძალით გაისმა რუსულ მუსიკაში. ისტორიის ცოცხალმა სუნთქვამ შეისხა ხორცი მუსორგსკის სახალხო დრამების ტრაგიკულ პათოსში.

პირველიდან უკანასკნელ ნოტამდე მუსორგსკის მუსიკა ხალხურია. მისი მგრძნობიარე რეჩიტატივები, ფართო მელოდიები, მახვილი და მჭახე ჰარმონიები, — ყოველივე ეს ხალხური სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

ნოვატორი მხატვარი, რომელმაც გაბედულად გადაშალა ბრწყინვალე ფურცელი რუსული მუსიკის ისტორიაში, მთელი თავისი მოღვაწეობით ახალ გზებს ჰკაფავდა მუსიკალურ შემოქმედებაში.

მოდესტ პეტრეს-ძე მუსორგსკი დაიბადა 1839 წელს, ნიკოლოზის რეაქციის შავბნელ ხანაში, როდესაც თვითმპყრობელობა, რომელმაც ჩაქრო დეკაბრისტების აჯანყება, ცდილობდა დიდიხნით შეებოჭა რუსეთის საზოგადოების მოწინავე აზრი.

* * *

მუსორგსკიმ მუსიკის სწავლა დაიწყო ბავშვობიდანვე. როდესაც 13 წელი შეუსრულდა, იგი მიაბარეს გვარდიის პოდპრაპორშჩიკების სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ განაწესეს პრეობრაჟენსკის პოლკში. მაგრამ სამხედრო სამსახურის შეთავსება ხელოვნებასთან, თვით კომპოზიტორის თქმით, მეტად „საძნელო საქმე" აღმოჩნდა, და 1859 წლის გაზაფხულზე იგი გამოვიდა სამხედრო სამსახურიდან.

ამის შემდეგაც მუსორგსკი ვერ ახერხებს მთლიანად ემსახუროს თავის საყვარელ ხელოვნებას. ლუკმაპურის გულისთვის იგი იძულებული ხდება იმუშაოს მოხელედ. და მიუხედავად ამისა, საკანცელარიო მაგიდაზე მიჯაჭვული მუსორგსკი ქმნის თავის გენიალურ ნაწარმოებებს.

თავისი ცხოვრების უკანასკნელი წელი კომპოზიტორმა უსამსახუროდ და დიდ გაჭირვებაში გაატარა. ცხოვრებისათვის მძიმე ბრძოლამ, რაც მან გადაიტანა, ნაადრევად შეარყია მისი ჯანმრთელობა. მუსორგსკი გარდაიცვალა, როდესაც იგი მხოლოდ 42 წლისა იყო.

* * *

მუსორგსკი დიდად განათლებული კაცი იყო. იგი კარგად იცნობდა ფრანგი მატერიალისტების შრომებს, დარვინის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის თხზულებებს, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მხატვრულ ლიტერატურას.

ბრწყინვალე მუსიკოსთა (ბოროდინი, რიმსკი-კორსაკოვი, კიუი, ბალაკირევი და სხვ.) სახელოვან თანამეგობრობაში მუშაობა აღაფრთოვანებდა კომპოზიტორს, ავითარებდა მის ძალებს. დარგომიჟსკი, რომელმაც გავლენა მოახდინა მუსორგსკიზე თავისი რეჩიტატივული სტილით, და სეროვი, რომელიც გავლენას ახდენდა თავისი მონუმენტალიზმით, შეავსებდნენ იმ კულტურულ-მუსიკალურ აღზრდას, რომელიც ახალგაზრდა კომპოზიტორმა ბალაკირევისაგან მიიღო.

უდიდესმა ბუნებრივმა ნიჭმა და განსაცვიფრებელმა ინტუიციამ მუსორგსკის საშუალება მისცა შეექმნა თავისი საკუთარი სტილი, რომლითაც მან გაამდიდრა ბევრი დასავლეთევროპელი და რუსი კომპოზიტორი (დებიუსი, რაველი, სკრიაბინი, რიმსკი-კორსაკოვი). მუსორგსკიმ დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე საბჭოთა კომპოზიტორების (მიასკოვსკი, პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი, ძერჟინსკი, კოვალი და სხვ.) შემოქმედებაზე.

* * *

მუსორგსკის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მის ოპერებს: „ბორის გოდუნოვს" (1869-1872 წლების ორი ორიგინალური რედაქციით) და „ხოვანშჩინას" (რომელიც რიმსკი-კორსაკოვმა დაამთავრა); გარდა ამისა, კომპოზიტორს დაუმთავრებელი დარჩა კომიკური ოპერა „სოროჩინის ბაზრობა" და „ქორწინება" (პირველი აქტი).



ბგერებში სიცოცხლით სავსე სახეების შექმნის ხელოვნება, მოქმედების ისტორიული კოლორიტისათვის ხაზის გასმის ხელოვნება მთელ მსოფლიო საოპერო ლიტერატურაში განსაკუთრებულ ადგილზე აყენებს მუსორგსკის, როგორც საოპერო დრამატურგს.

თავის მონუმენტურ საოპერო ნაწარმოებებში, პიმენისა და გრიგოლ ოტრეპიევის რეჩიტატივებში, ბოქაულების, ბოიარინების, ბერების, მოისარების და დიდკაცობის ინტონაციებში მუსორგსკიმ შექმნა მუსიკალური მეტყველების კლასიკური ნიმუშები, რომლებშიც ადამიანის ცოცხალი სიტყვა და მელოდია ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს.

ამ გზაზე მუსორგსკიმ რუსული მუსიკა მთლიანად და საბოლოოდ გაათავისუფლა იტალიური მუსიკის გავლენისაგან და ამრიგად დაამთავრა ის საქმე, რაც დიდმა გლინკამ დაიწყო.

მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი" სცენაზე გამოჩნდა რუსული ოპერის რეალისტური გზისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე მომენტში. გლინკას „რუსლან და ლიუდმილას" შემდეგ ეს ოპერა მოასწავებდა ახალ მობრუნების ეტაპს მთელ რუსულ მუსიკაში.

ხალხი, რომელსაც ბოიარინები და შინაური და გარეშე უზურპატორები ჩაგრავდნენ, მათხოვრები, უსახლკარონი, გაქცეული ყმები, მაწანწალა ბერები, სალოსები, ტაძრის შესასვლელთან შეჯგუფებულნი, — როგორ მართლად არის ყოველივე ეს ნაჩვენები! რა ცოცხალი ხანაწერია, ხმის რა დამახასიათებელი რუსული ინტონაციებია!

მუსორგსკის ჰქონდა უნარი გამოეხატა არა მარტო ბრბოს მორჩილება, არამედ ხალხის მრისხანებაც, ხალხის წმიდა გულისწყრომაც. ცნობილ სცენაში კრომთან ხალხი ანგარიშს უსწორებს შემოსეულ მტრებსა და მოღალატეებს. მრისხანე და მძლავრი სცენაა!

თვითმპყრობელობისა და ხალხის შეურიგებელი კონფლიქტი — ასეთია მუსორგსკის „ბორის გოდუნოვის" ნამდვილი თემა. მეფე ბორისის სახე, რომელიც მუსორგსკიმ დიდი ფსიქოლოგიური ძალითა და სიღრმით შექმნა, მთლიანად გამსჭვალულია ხალხის მზარდი აღშფოთების შეგრძნობით.

მეორე ოპერაში — „ხოვანშჩინაში" მუსორგსკიმ ასახა ძველი და ახალი რუსეთის ბრძოლა პეტრე I-ის ეპოქაში.

სიყვარულისა და სიკვდილის თემა, დაკავშირებული სექტანტ მართას შინაგან სამყაროსთან, — მუსორგსკის ერთ-ერთი გენიალური შთაგონებაა. ეს მუსიკალური სახე, რომელიც მან შექმნა თავისებურ, [illegible] დაზე, შეგვიძლია [illegible] იზოლდას სახეს.

ფერწერაში პეროვის მსგავსად, მუსორგსკი სწორუპოვარი ოსტატი იყო მუსიკალურ-ჟანრული პორტრეტის დარგში. აქ არის ზამთრის სუსხიანი პეიზაჟიც—თოვლით დაფარული უდრანი ტყე და სასიკვდილოდ განწირული ღარიბი გლეხი, რომელსაც ქარბუქმა მოუსწრო („ტრეპაკ"). აქ არის ახალგაზრდა ბურსაკიც, რომელსაც გონებას უხლუნგებს ლათინურის სქოლასტიკურად დაზეპირება („სემინარიელი"). და კიდევ რამდენი აქვს მუსორგსკის ასეთი მუსიკალური პორტრეტები, რომლებიც გვიხატავენ გლეხობის უმწეობას, მათ ღატაკურ ხვედრს („კალისტრატე", „ერიომუშკას ნანა", „ობოლი", „სავიშნა" და სხვ.)!

რუსულ მუსიკაში მუსორგსკიმ პირველმა აღძრა საბავშვო სამყაროს თემა. მისი ვოკალური „საბავშვო" გვიხატავს ბავშვის გულშიჩამწვდომ განცდებს, რომლებიც კომპოზიტორმა მომაჯადოებელი სითბოთი განასახიერა.

მუსორგსკის გაბედული ნოვატორობა, მისი დემოკრატიული რადიკალიზმი გააფთრებულ თავდასხმებს იწვევდა. მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ იმპერატორის თეატრების დირექციის მესვეურებიც, ცენზურაც, პეტერბურგის კონსერვატიული მუსიკალური წრეებიც. დირექციამ, რომელმაც უკუაგდო „ბორის გოდუნოვის" პირველი რედაქცია, მაგრამ იძულებული გახდა საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით დაედგა ოპერა, დაასახიჩრა იგი უაზრო კუპიურებით. კონსერვატიულ მუსიკოსებს მუსორგსკისათვის ვერ ეპატიებინათ მისი მწვავე მუსიკალური პამფლეტები, რომლებშიც იგი გესლიანად დასცინოდა მათს გონებაჩლუნგობასა და შეზღუდულობას. ყოველივე ეს მუსორგსკის გარშემო მისი ცხოვრების უკანასკნელ ათეულ წელში შეიკრა ყრუ მტრობის რკალად.

მაგრამ თავისი შეგნებული ცხოვრების ბოლომდე მუსორგსკი თავს გრძნობდა ხელოვან მოქალაქედ და მებრძოლად.

1880 წლის 16 იანვარს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, მუსორგსკი სტასოვს სწერდა: „თქვენთვის ცნობილი ჩემი დევიზი: „გამოიჩინე გამბედაობა! გასწი წინ ახალი ნაპირებისაკენ!" — უცვლელი დარჩა. თუ ბედი საშუალებას მომცემს გავაფართოო გაკაფული ბილიკი ხელოვნების სასიცოცხლო მიზნებისაკენ, გავიხარებ და ვიზეიმებ; ხელოვნების მოთხოვნები თანამედროვე მოღვაწისადმი ისე დიდია, რომ მათ შეუძლიათ შთანთქან მთელი ადამიანი. წავიდა მოცლილობისას წერის დრო; მთელი შენი თავი მოახმარე ხალხის სამსახურს — აი რა არის ახლა საჭირო ხელოვნებაში".

მუსორგსკის ოპერები, და უწინარეს ყოვლისა „ბორის გოდუნოვი", განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ ოპერის მთავარი როლი გენიალურად შეასრულა ფ. შალიაპინმა, ფართოდ ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში. ამ ცოტა ხნის წინათ იტალიაში ყოფნისას მე საშუალება მქონდა მენახა ლა სკალას სახელგანთქმული თეატრი მილანში. ჩემს შეკითხვაზე, რომლითაც ამ თეატრის დირექტორს მივმართე, — რომელი კომპოზიტორია თქვენს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული-მეთქი, მან დაუფიქრებლად მიპასუხა: „მუსორგსკი". დიდი რუსი კომპოზიტორის ოპერები „ბორის გოდუნოვი", „ხოვანშჩინა", „სოროჩინის ბაზრობა", მისი ვოკალური ნაწარმოებები ხშირად სრულდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების, მათ შორის მუსიკის დაუცხრომლად განვითარების საკითხებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე დააყენა მაღალი და კეთილშობილური ამოცანები—ამაღლონ საბჭოთა ხელოვნების იდეური და მხატვრული დონე, შექმნან ჩვენი დიადი ქვეყნის, ჩვენი დიადი ხალხის შესაფერი სრულფასოვანი ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებები.

მუსორგსკი ჩვენთვის იყო და არის გენიალური ხელოვან-ნოვატორი, დიდი ხალხის ერთგული შვილი, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებულია თავის ქვეყანასთან. იგი თავისი ნაწარმოებებით მოგვიწოდებდა და მოგვიწოდებს იმ ჭეშმარიტად ადამიანური კულტურის მწვერვალებისაკენ, რომლის შექმნა ჩვენი სასიხარულო დღევანდელი დღის ზედნიერი ხვედრი გახდა.

ი. შაპორინი.

პარტიის XX ყრილობის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად

სოციალიზმი გადაიქცა მსოფლიო სისტემად

ას წელზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ კაპიტალისტური წყობილება გარდამავალია, რომ იგი აუცილებლად დაიღუპება და ადგილს დაუთმობს ახალ, სოციალისტურ წყობილებას. მარქსი და ენგელსი წერდნენ: „აჩრდილი დაძრწის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა".

მარქსისა და ენგელსის ეს თვალსაზრისი იმ პერიოდში მხოლოდ რამდენიმე ათასმა მოწინავე მუშამ და ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა გაიზიარეს. დღეს კი მსოფლიო მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი უკვე დგას მეცნიერული სოციალიზმის დროშის ქვეშ და სამუდამოდ განთავისუფლებულია კაპიტალიზმის უღლისაგან. დღეს კომუნიზმი აჩრდილი კი არ არის, არამედ მძლავრი ეკონომიური და პოლიტიკური საერთაშორისო ძალაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია: „ჩვენი ეპოქის მთავარი ნიშანი ის არის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა".

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. მან გზა გაუკაფა მშრომელებს ახალი ცხოვრებისაკენ, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემას. საერთაშორისო ბურჟუაზია ცდილობდა ძირფესვიანად მოესპო საბჭოთა სახელმწიფო, აღედგინა რევოლუციით დარღვეული კაპიტალისტური ექსპლოატატორული სისტემის მთლიანობა. სამოქალაქო ომი და შეიარაღებული ინტერვენცია, ჯაშუშობა და ტერორი, მავნებლობა და დივერსია — ყველაფერი გამოყენებულ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მამამთავარი და მსოფლიო ოპორტუნიზმის პატრიარქი კარლ კაუცკი ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში აცხადებდა, საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ გაძლებს, უახლოეს კვირეებში დაეცემაო.

ინტერვენციასა და სამოქალაქო ომში დამარცხებული საერთაშორისო ბურჟუაზია იმედოვნებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეკონომიურად მაინც განიცდიდა მარცხს. იგი საბჭოთა ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციას ჩაშლას უწინასწარმეტყველებდა. ინგლისური გაზეთი „სანდეი ტაიმსი" 1930 წლის თებერვალში წერდა: „თუ საბჭოთა მთავრობამ არ გადაუხვია იმ გზას, რომელსაც დაადგა, კატასტროფა გარდუვალია".

იმპერიალისტთა წინასწარმეტყველება საბჭოთა სისტემის პოლიტიკური და ეკონომიური მარცხის შესახებ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების არც ერთ ეტაპზე არ გამართლდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად მსოფლიოში შეიქმნა მშრომელთა პირველი სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. მაშინ სოციალისტური სისტემის ტერიტორია შეადგენდა მსოფლიო ტერიტორიის 17 პროცენტს, მოსახლეობა კი მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 7,8 პროცენტს უდრიდა. სოციალისტური სისტემის სამრეწველო პროდუქცია შეადგენდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 7 პროცენტს.

საბჭოთა ქვეყანა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მტკიცედ ახორციელებდა ყველა ქვეყანასა და ხალხს შორის მშვიდობისა და ორი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის თანაარსებობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, იგი იძულებული გახდა ჩაბმულიყო მეორე მსოფლიო ომში, რომელიც უდიდესი გამოცდა იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ეს გამოცდა საბჭოთა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა სისტემამ ბრწყინვალედ ჩააბარა. საბჭოთა კავშირი ომიდან გაცილებით უფრო ძლიერი გამოვიდა, ვიდრე ომამდე იყო.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალიზმის ბანაკს ჩამოსცილდნენ მთელი რიგი ქვეყნები. ამ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული წყობილება შეიქმნა.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მსოფლიო იმპერიალისტური სისტემის ყველაზე დიდი და სერიოზული მარცხია.

სოციალისტურ სისტემაში შემავალი ქვეყნების ტერიტორია ამჟამად შეადგენს მთელი მსოფლიო ტერიტორიის 26 პროცენტს, ხოლო მოსახლეობა — მსოფლიო მოსახლეობის 37,5 პროცენტს.

სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები სოციალიზმის ერთიან და მძლავრ სისტემას წარმოადგენენ. საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის განუხრელად მტკიცდება ეკონომიური ურთიერთობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ახალი გზები სსრ კავშირსა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებს შორის კიდევ უფრო მჭიდრო და ნაყოფიერი კავშირისათვის. სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის დამყარდა თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობა, ტექნიკური გამოცდილების გაცვლა, ყოველმხრივი ურთიერთდახმარება და სახალხო-სამეურნეო გეგმების საქმიანი კოორდინაცია. საბჭოთა კავშირი, რომელსაც მძლავრი მრეწველობა და მექანიზებული სოფლის მეურნეობა აქვს, დახმარებას უწევს სოციალისტური სისტემის ქვეყნებს 391 საწარმოს და 90-ზე მეტი ცალკე საამქროსა და დანადგარის აგებაში. მან უკვე მიაწოდა ამ ქვეყნებს მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში გრძელვადიანი კრედიტები 21 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

სოციალისტური სისტემის ქვეყნების ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მისი განვითარების ყოველმხრივობა, მშვიდობიანი მიმართულება და უაღრესად მაღალი ტემპები. 1929 წელთან შედარებით სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1955 წლისათვის გაიზარდა 2.049 პროცენტით, მაშინ, როდესაც ამავე პერიოდისათვის ყველა კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ მხოლოდ 193 პროცენტს მიაღწია.

სწრაფი ტემპით ვითარდებიან ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებმაც სსრ კავშირის უანგარო დახმარებით შეძლეს სულ მოკლე დროში აღედგინათ მეორე მსოფლიო ომისაგან დანგრეული სახალხო მეურნეობა. 1955 წელს სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე გადაჭარბებულ იქნა პოლონეთში — 4-ჯერ, ბულგარეთში — 4-ჯერ, ჩეხოსლოვაკიაში — 2-ჯერ, უნგრეთში — 3,5-ჯერ, რუმინეთში — თითქმის 3-ჯერ, ალბანეთში — 12-ჯერ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 2-ჯერ. აღნიშნულ ქვეყნებში წარმატებით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის კოოპერირება.

ბრწყინვალე მიღწევები აქვთ აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქცია 1929 წელთან შედარებით გაიზარდა 4-ჯერ. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ამჟამად გლეხთა მეურნეობის 78 პროცენტი გაერთიანებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში. კორეაში წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების ომისშემდგომი (1954-1956) სამწლიანი გეგმა, გლეხთა მეურნეობის 45 პროცენტი გაერთიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში; მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სახელმწიფო სამრეწველო პროდუქცია 1955 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 3,6-ჯერ, რკინიგზების ქსელი 6-ჯერ, 25 ათასი არატის (გლეხის) მეურნეობა ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებაში. ჩქარი ტემპით ვითარდება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, რომელიც იმპერიალისტების მიერ თავსმოხვეული ომით გაჩანაგებული იყო წლების განმავლობაში.

სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ეკონომიური მიღწევები შედეგია იმპერიალისტური უღლისაგან სამუდამოდ განთავისუფლებული ხალხის თავდადებული შრომისა, სსრ კავშირის უანგარო დახმარებისა და ამ ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებისა. სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ემყარება მათ შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მტკიცე ხელშეკრულებებს.

სსრ კავშირის მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს არა მარტო სსრ კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს სოციალისტური სისტემის ძლიერებას და ხელს შეუწყობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობას.

სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია დამოუკიდებელი როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური განვითარება. დიდია სოციალისტური სისტემის ქვეყნების ხვედრითი წონა მსოფლიო ეკონომიკაში. ამჟამად მათი სამრეწველო პროდუქცია მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 30 პროცენტს შეადგენს.

საერთაშორისო ასპარეზზე შეიქმნა „მშვიდობის ზონა", რომელიც აერთიანებს როგორც სოციალისტურ, ისე მთელ რიგ არასოციალისტურ, მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ სამართლიანად განაცხადა: „შეგნებულად თუ შეუგნებლად, მსოფლიო მიდის სოციალისტური ეკონომიკისაკენ". ახლანდელ პირობებში შეუძლებელია რომელიმე სხვა გზა. მხოლოდ სოციალისტურ სისტემას შეუძლია მოსპოს ყველა კლასობრივი კონფლიქტების საფუძველი და უზრუნველყოს კაცობრიობის პროგრესი მშვიდობიანი საშუალებებით.

სოციალისტური სისტემის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს მშვიდობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ორი სხვადასხვა სისტემის თანაარსებობისათვის ბრძოლა. ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი ჯონ სკოტი წერს: „ჩვენ ვთანაარსებობთ საქმით. ჩვენ ვთანაარსებობთ 37 წელი და, ყველაფრის მიხედვით, კიდევ დიდხანს ვიცხოვრებთ დედამიწაზე კომუნისტურ მთავრობებთან ერთად. თუ დასავლეთს სურს თავი შეინახოს, მან ეს თანაარსებობა უნდა განიხილოს როგორც კონკურენტული თანაარსებობა".

კაპიტალისტური სამყაროსათვის მშვიდობიანი თანაარსებობის გარდუვალობას მთელი რიგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწეები აუცილებელ მოვლენად თვლიან. ეს იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ სოციალიზმი გადაიქცა მსოფლიო სისტემად და კაპიტალისტური სისტემისათვის აუცილებელია სოციალიზმის სისტემასთან მშვიდობიანი თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირი მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მსოფლიოს ხალხთა საიმედო დასაყრდენია. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სამშვიდობო პოლიტიკა იძლევა მტკიცე იმედს, რომ კაცობრიობა თავს დააღწევს ახალ ომს და გასწევს წინ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

პროფ. დ. ენუქიძე.

დასკვნითი ცნობა ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მოწყობის საკითხზე საერთაშორისო თათბირის შესახებ

1956 წლის 20-26 მარტს მოსკოვში გაიმართა თათბირი ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მოწყობის საკითხზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე სპირო კოლეკა, მეცნიერებათა ინსტიტუტის თავმჯდომარის მოადგილე პეტრიტ რადოვიცკა, პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკისა და ფიზიკის კათედრის გამგე პეტრაქ პილიკა;

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კულტურის მინისტრი რუბენ ავრამოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა და ატომის სამეცნიერო-საკვლევი ბაზის დირექტორი, აკადემიკოსი გიორგი ნაჯაკოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა და ატომის სამეცნიერო-საკვლევი ბაზის დირექტორის მოადგილე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ემილ ჯაკოვი, სოფიის უნივერსიტეტის ატომის ფიზიკის კათედრის გამგე, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი ხრისტო ხრისტოვი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იშტვან ჰიდაში, ქიმიური და ენერგეტიკული მრეწველობის მინისტრის მოადგილე იანოშ შებეშტიენი, ცენტრალური ფიზიკური ინსტიტუტის დირექტორი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იშტვან კოვაჩი, ცენტრალური ფიზიკური ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლენარდ პალ;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა— სტატს-მდივანი ერნსტ ვოლფი, მთავრობასთან არსებული ატომის ენერგიის საკითხთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი, დოქტორი გუსტავ ჰერცი. მთავრობასთან არსებული ატომის ენერგიის საკითხთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი, დოქტორი რობერტ რომპე, მთავრობასთან არსებული ატომის ენერგიის საკითხთა სამეცნიერო საბჭოს მდივანი ატომგულის კვლევისა და ატომგულის ტექნიკის უწყების ხელმძღვანელი დიპლომირებული ფიზიკოსი კარლ რამბუში, ატომგულის ფიზიკის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი დოქტორი ჰაინც ბარვიხი;

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გეოლოგიის მინისტრის მოადგილე ლიუ ძე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკურ და ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრი, პროფესორი ციან სან-ციანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკურ და ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი პენ ხუან-უ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკურ და ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრი, პროფესორი ჯაო ჯუნ-იაო;

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ქიმიური მრეწველობის მინისტრი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ტენ დიუნ თხაკი, კიმ ირ სენის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კიმ ხენ ბონი, განათლების სამინისტროს ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი, ფიზიკოსი კიმ დონ უნი;

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — პრემიერ-მინისტრის მოადგილე სოდნომინ ავარზიდი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა კომიტეტის ნამდვილი წევრი ნამსარაინ სოდნომი, ინჟინერი ნამსარაინ ტოგო;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მეჩისლავ ლეში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ანდრია სოლტანი, პროფესორი ბრონისლავ ბურასი;

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომგულის ენერგიის კომიტეტის თავმჯდომარე მარინ გასტონი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ტუდორ ტანასესკუ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ალექსანდრუ სანიელევიჩი, ატომგულის ენერგიის კომიტეტის მდივანი პაულ დრაგიჩესკუ. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ადრიან გელბერგი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი მეცნიერი მდივანი აკადემიკოსი ა. ვ. ტოპჩიევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ს. კ. ცარაპკინი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი დოქტორი დ. ი. ბლოხინცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი დოქტორი ვ. ი. ვექსლერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი დოქტორი მ. გ. მეშჩერიაკოვი;

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ენერგეტიკის მინისტრი დოქტორი ფრანტიშეკ ვლასაკი, ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა მთავრობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ინჟინერი ირჟი ბაიერი, ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა კომიტეტის წევრი ინჟინერი ჩესტმირ შიმანე, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ვაცლავ პეტრჟილკა, ინჟინერი ფრანტიშეკ კოვარჟი.

სხდომებს თავმჯდომარეობდნენ: სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ვ. ტოპჩიევი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის მოადგილე ი. ბაიერი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ს. კოლეკა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური რ. ავრამოვი.

თათბირმა განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მოწყობასთან.

გაითვალისწინეს რა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დიდი მნიშვნელობა და აღიარებენ რა, რომ საჭიროა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობა ატომგულის ფიზიკის საკითხთა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის დარგში, რათა გაფართოვდეს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობანი, თათბირის მონაწილე ქვეყნების მთავრობათა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა დადეს შეთანხმება ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მოწყობის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს დაარსდეს საერთაშორისო სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაცია სახელწოდებით „ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტი" ადგილსამყოფელით სსრ კავშირში.

ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტი თავის მუშაობას განახორციელებს წესდების საფუძველზე, რომლის პროექტს მოამზადებს ინსტიტუტის დირექცია და დაამტკიცებენ გაერთიანებული ინსტიტუტის წევრი სახელმწიფოების მთავრობები. ყველა სახელმწიფო, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას, ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის თანასწორუფლებიანი წევრია. სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც მომავალში მოისურვებენ მონაწილეობა მიიღონ ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მუშაობაში, შეუძლიათ განაცხადონ, რომ ეთანხმებიან დადებული შეთანხმების დებულებებს და ინსტიტუტის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით გახდებიან გაერთიანებული ინსტიტუტის თანასწორუფლებიანი წევრები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ დადებული შეთანხმების შესაბამისად ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის შემადგენლობაში გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტი და 680 მილიონი ელექტრონვოლტის პროტონების ენერგიის სინქროციკლოტრონი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელექტრო-ფიზიკური ლაბორატორია და 10 მილიარდი ელექტრონვოლტის პროტონების საანგარიშო ენერგიის სინქროფაზოტრონი, მთელი მოწყობილობით, ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული ნაგებობებითა და შენობებით.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დელეგაციებმა დიდი კმაყოფილებით მიიღეს საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადება ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის შემადგენლობაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემათა ინსტიტუტისა და ელექტრო-ფიზიკური ლაბორატორიის გადაცემის შესახებ, რაც შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს უკვე უახლოეს ხანში აწარმოონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ატომგულის ფიზიკის დარგში და გამოიყენონ უაღრესად თანამედროვე და სრულყოფილი მოწყობილობა.

ატომგულის საკვლევ გაერთიანებულ ინსტიტუტში ატომგულის ფიზიკის დარგში კვლევის შემდგომი განვითარების მიზნით შეთანხმება ითვალისწინებს დამატებით აშენდეს:

ა) თეორიული ფიზიკის ლაბორატორია გაანგარიშების განყოფილებით და ელექტრონგამომთვლელი მანქანებით;

ბ) ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორია ნეიტრონთა ნაკადის მაღალი სიმკვრივის ატომგულის საექსპერიმენტო რეაქტორით;

გ) ციკლოტრონი, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა ელემენტის მრავალმუხტიანი იონების დასაჩქარებლად და მათთან ექსპერიმენტულ სამუშაოთა განსახორციელებლად.

და სხვა საექსპერიმენტო დანადგარები და ლაბორატორიები.

შეთანხმებით დაწესდა, რომ ატომგულის საკვლევ გაერთიანებულ ინსტიტუტს მეთაურობენ ინსტიტუტის დირექტორი და ორი მისი მოადგილე, რომლებსაც ინსტიტუტის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა ირჩევს ამ სახელმწიფოთა მეცნიერების რიცხვიდან. დირექტორს ირჩევენ 3 წლის ვადით, დირექტორის მოადგილეებს — 2 წლის ვადით.

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმების, მათი შესრულების შედეგების, აგრეთვე სხვა საკითხების განსახილველად და დასამტკიცებლად, რომლებიც ეხება ინსტიტუტის სამეცნიერო მოღვაწეობას, დაარსდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომლის წევრებს ნიშნავენ ინსტიტუტის წევრი სახელმწიფოები.

შეთანხმებით დაწესდა, რომ ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის წევრ თვითეულ სახელმწიფოს ყოველწლიურად შეაქვს ფულადი შესატანი ინსტიტუტის შესანახავად და ინსტიტუტში ახალი სამეცნიერო-საკვლევი ობიექტების მშენებლობისათვის და მონაწილეობს ინსტიტუტის მატერიალურ უზრუნველყოფაში.

შეთანხმებით დამტკიცდა ამ ხარჯებში სახელმწიფოთა მონაწილეობის შესაბამისი წილი, ამასთან ინსტიტუტის წევრ სახელმწიფოთა წილობრივი მონაწილეობის ოდენობა გავლენას არ ახდენს მეცნიერულ მოღვაწეობასა და ინსტიტუტის მართვაში ინსტიტუტის წევრი ამა თუ იმ სახელმწიფოს მონაწილეობის დონეზე. ინსტიტუტის ბიუჯეტების განსახილველად და დასამტკიცებლად და ფინანსური საქმიანობის კონტროლისათვის დაარსდა ფინანსური კომიტეტი ინსტიტუტის წევრ ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან.

თათბირმა ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორად ერთხმად აირჩია უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი დოქტორი დიმიტრი ივანეს-ძე ბლოხინცევი; დირექტორის მოადგილეებად ერთხმად აირჩიეს პოლონელი მეცნიერი პროფესორი დოქტორი მარიან დანიში და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი დოქტორი ვაცლავ ვოტრუბა.

თათბირმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა მოწვევა გახდეს ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის წევრი და ინსტიტუტის დირექციას დაავალა განიხილოს ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სხვა სახელმწიფოთა მოწვევის საკითხი და სათანადო წინადადებანი წარუდგინოს ინსტიტუტის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მოწყობის შესახებ

1956 წლის 26 მარტს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მოწყობის შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის მოწყობის საკითხზე თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დელეგაციების მეთაურებმა.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ თათბირის მონაწილე სახელმწიფოების მთავრობის დელეგაციათა წევრები, აგრეთვე

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. ტ. ლუკანოვი,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ფ. მიუნიხი,

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო,

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სან ჩო,

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ადილბიში,

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ლევიკოვსკი,

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. რაზი,

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. ვოშაგლიკი,

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ს. ხაირო,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში რ. როსმაისლი.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ აგრეთვე ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი დ. ი. ბლოხინცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ დამსწრეებს მოკლე სიტყვით მიმართა აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა.

საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 26 მარტი. (ტასი). დღეს საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაციამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ელექტროსადგურთა მინისტრის გ. მ. მალენკოვის მეთაურობით ინგლისის ატომის ენერგიის საკითხთა სამმართველოს მიწვევით დაათვალიერა კოლდერ-ჰოლის (კამბერლენდის საგრაფო) ატომის ელექტროსადგურის მშენებლობა. ამ სადგურის მშენებლობა დაიწყო 1953 წლის აგვისტოში. განზრახულია პირველი ტურბინი ამუშავდეს მიმდინარე წლის ოქტომბერში. პირველი რიგის ოთხი აგრეგატის სიმძლავრე 92 ათასი კილოვატი იქნება, საერთო სიმძლავრე 184 ათასი კილოვატი.

დელეგატებმა დაათვალიერეს რეაქტორი და გაეცნენ მართვის მექანიზმებს.

სადგურის დათვალიერების შემდეგ გ. მ. მალენკოვმა სიტყვით მიმართა პრესისა და რადიოს წარმომადგენლებს და სადგურის მშენებლებს. მადლობა გადაიხადა რა მშენებლობის გასაცნობად თავაზიანი მიწვევისათვის, გ. მ. მალენკოვმა რწმენა გამოთქვა, რომ მშენებლობა წარმატებით დამთავრდება. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ენერგეტიკოსებს თავიანთი მიღწევები აქვთ ამ დარგში, რომლებსაც სიხარულით გაუზიარებენ ინგლისელ კოლეგებს. საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკოსებს შორის კარგი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რომელიც ემსახურება ტექნიკური პროგრესის საქმეს, მშვიდობის განმტკიცების საქმეს. გ. მ. მალენკოვმა გამარჯვება უსურვა ყველა ქვეყნის ხალხებს შორის მშვიდობასა და მეგობრობას. ამ განცხადებას ტაშითა და მოწონების შეძახილებით შეხვდნენ.

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული კრების პირველი სხდომა

კარაჩი, 26 მარტი. (ტასი). 25 მარტს დღის მეორე ნახევარში გაიმართა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული კრების პირველი სხდომა. საპატიო სტუმართა შორის პარლამენტის დარბაზში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოთა მთელი რიგი სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც პაკისტანის მთავრობის მოწვევით ჩამოვიდნენ პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადების დღესასწაულზე.

ეროვნული კრების სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ისკანდერ მირზამ, რომელიც შეეხო პაკისტანის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხს. შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, მან, კერძოდ, განაცხადა: „ჩვენს საგარეოპოლიტიკურ საქმეებში მუდამ ვახორციელებდით ყველა ქვეყანასთან მეგობრობის პოლიტიკას. ჩვენ ვაპირებთ მტკიცედ მივდიოთ ამ პოლიტიკას. ჩვენი მიზნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნების იდენტურია და იმით გამოიხატება, რომ დავიცვათ და ხელი შევუწყოთ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, აგრეთვე განვავითაროთ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ემყარება ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პატივისცემას ყველა ქვეყანას შორის და ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობას კაცობრიობის პროგრესისა და კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობის საქმეში". „ჩვენ, — განაცხადა შემდეგ პრეზიდენტმა, — განსაკუთრებით გვაქვს შეგნებული, თუ რა დიდმნიშვნელოვანია ჩვენს მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება. ვწუხვართ, რომ ურთიერთობა ჩვენს ორ მეზობელთან არ იყო ისეთი მეგობრული, როგორიც ჩვენ გვსურდა".

შემდეგ ისკანდერ მირზამ ილაპარაკა პაკისტანის ურთიერთობაზე ინდოეთთან და ავღანეთთან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიურანდის ხაზი საერთაშორისო საზღვარია პაკისტანსა და ავღანეთს შორის და რომ პაკისტანი „არ აპირებს და არ ცნობს ავღანეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის უფლებას ჩაერიონ მის საშინაო საქმეებში". განაცხადა რა, რომ პაკისტანი გამსჭვალულია მეგობრული გრძნობებით ავღანელი ხალხისადმი, პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ავღანეთი „მიიღებს მეგობრობის ხელს, რომელსაც პაკისტანი მას უწვდის".

ისკანდერ მირზამ აგრეთვე აღნიშნა, რომ „პაკისტანს ძლიერ სურს გააუმჯობესოს ურთიერთობა თავის დიდ მეზობელ ინდოეთთან". აღნიშნა რა, რომ ამ ურთიერთობას „წამლავს დავა ქაშმირის საკითხზე", მან თქვა, რომ „მეტად საჭიროა ეს პრობლემა სრულიად შეუფერხებლად გადაიჭრას იმ საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ჩაწერილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებში". „ჩვენ, — თქვა მან, — არავითარი აგრესიული განზრახვა არა გვაქვს ინდოეთის წინააღმდეგ. ინდოეთსა და პაკისტანს შორის ომი დამღუპველი იქნებოდა. არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება აგრესიის საფრთხეზე, რომელიც მიმართული იყოს ინდოეთის წინააღმდეგ პაკისტანის მხრივ".

ისკანდერ მირზამ ამასთან დაკავშირებით გაიხსენა პაკისტანის პრემიერ-მინისტრის მოჰამედ ალის ამასწინანდელი განცხადება, რომლითაც პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა წინადადება მისცა ინდოეთს ხელი მოაწერონ შეთანხმებას, რომ ინდოეთი და პაკისტანი „არასოდეს არ დაიწყებენ ომს ერთმანეთის წინააღმდეგ და ყველა თავიანთ დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და შუამავლობის გზით, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში — არბიტრაჟის გზით". შემდეგ მან თქვა, რომ პაკისტანმა მიიღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრის პასუხი ამ წინადადებაზე და ახლა სწავლობს მას.

ა. ი. მიქოიანი კარაჩიდან დელში გაემგზავრა

კარაჩი, 26 მარტი. (ტასი). დღეს დილის 8 საათზე ადგილობრივი დროით საბჭოთა მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, რომელიც მას ახლავს, კარაჩიდან გაფრინდნენ ინდოეთის რესპუბლიკის დედაქალაქ დელში.

ა. ი. მიქოიანი და შ. რ. რაშიდოვი კარაჩში იყვნენ პაკისტანის მთავრობის მიწვევით და მონაწილეობდნენ პაკისტანის რესპუბლიკად გამოცხადების გამო გამართულ ზეიმში.

ა. ი. მიქოიანი და შ. რ. რაშიდოვი აეროდრომზე გააცილეს პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰამიდ-ულ-ჰაკ ჩოუდჰურიმ, პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანმა ბეიგმა, პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ ჰამიდ ნავაზმა, პაკისტანის თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ გ. მ. საიედმა, სსრ კავშირის ელჩმა ი. ფ. შპედკომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა კენ ბიაომ, ბირმის კავშირის ელჩმა უ ონსიენმა, ჩეხოსლოვაკიის დესპანმა ე. ბრაზდამ, იუგოსლავიის საქმეთა რწმუნებულმა ბრანკო ჯაპუნჩიჩმა, პოლონეთის სავაჭრო წარმომადგენელმა ლეონ პრაცკიერმა, ინდოეთის უმაღლესი კომისრის მოადგილემ პაკისტანში დ. ნ. ჩატერჯიმ, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა და მათი ოჯახების წევრებმა და სხვებმა. აეროდრომზე ა. ი. მიქოიანმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, მეგობრებო!

ვტოვებ რა თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანას, გულწრფელ მადლობას ვუძღვნი ბატონ პრეზიდენტს, ბატონ პრემიერ-მინისტრს, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობასა და ხალხებს გულთბილი და გულითადი მიღებისათვის. არ შეიძლება დავივიწყოთ ის საინტერესო და მეგობრული შეხვედრები და საუბრები, რომლებიც აქ გვქონდა პაკისტანის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან და უბრალო ადამიანებთან. ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება უაღრესად გულთბილი მოგონება იმ ყურადღებასა და სტუმართმოყვარეობაზე, რომლებიც ჩვენდამი გამოიჩინეთ. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ეს შეხვედრები და დამყარებული კონტაქტი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეს.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობა განმტკიცდება და განვითარდება ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ და ასაყვავებლად, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. ბედნიერებასა და წარმატებებს ვუსურვებ თქვენს რესპუბლიკას. ნახვამდის, — ხუდა ჰაფიზ!

პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰამიდ-ულ-ჰაკ ჩოუდჰურიმ საპასუხო განცხადებაში პაკისტანის მთავრობის სახელით და თავისი სახელით მადლობა გადაუხადა ა. ი. მიქოიანს მიწვევის მიღებისა და პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადების გამო დღესასწაულში მონაწილეობისათვის.

მან სთხოვა ა. ი. მიქოიანს გადასცეს პაკისტანის მთავრობისა და პაკისტანელი ხალხის სალამი და საუკეთესო სურვილები საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხებს.

ჰამიდ-ულ-ჰაკ ჩოუდჰურიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაკისტანი ყოველთვის დაუჭერს მხარს იმათ, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის, და განსაკუთრებით თავის მეზობლებს. მან იმედი გამოთქვა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის ვიზიტის შედეგად პაკისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის უფრო მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობა განვითარდება.

ამხანაგი ა. ი. მიქოიანი დელში ჩავიდა

დელი, 26 მარტი. (ტასი). ინდოეთის მთავრობის მოწვევით დღეს დელში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი.

სპორტის ამბები

გაიხსნა ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტთა ტურნირი

ჰააგა, 26 მარტი. (ტასი). 27 მარტიდან 30 აპრილამდე ჰოლანდიაში მოეწყობა ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტთა ტურნირი. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის წესების მიხედვით, ვინც ამ ტურნირში გაიმარჯვებს, უფლებას მიიღებს ეთამაშოს მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში მ. ბოტვინიკს.

ტურნირში მონაწილეობს ათი საერთაშორისო გროსმაისტერი: დ. ბრონშტეინი, ე. გელერი, პ. კერესი, ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი (სსრ კავშირი), ო. პანო და გ. პილნიკი (არგენტინა), ლ. საბო (უნგრეთი) და მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია). ტურნირი ეწყობა ორ წრედ. ამრიგად, სულ გათამაშდება 18 ტური. ტურნირის მთავარ მსაჯად დამტკიცებულია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გროსმაისტერი მაქს ეივე (ჰოლანდია).

დღეს საღამოს ამსტერდამში ოფიციალურად გაიხსნა ტურნირი. გახსნას დაესწრნენ ტურნირის მონაწილეები, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ფ. როგარდი, ამსტერდამის ბურგომისტრი დ'აია, მ. ეივე, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, ჰოლანდიის საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

ჰოლანდიის საჭადრაკო კავშირის თავმჯდომარის სტეინისისა და საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის როგარდის მოკლე მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ამსტერდამის მუნიციპალური საბჭოს წევრმა ა. როოსმა ტურნირი გახსნილად გამოაცხადა. შემდეგ მოხდა წილისყრა.

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება

კიევი, 25 მარტი. (ტასი). უკრაინის დედაქალაქის მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტულ ტანვარჯიშში საერთაშორისო ამხანაგურმა შეჯიბრებამ. ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა გამოსვლას ათასობით კიეველი ტელევიზიით ხედავდა.

ქალთა შორის შეჯიბრების შედეგებით, რომლებიც ოთხ იარაღზე ასრულებდნენ XVI ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამის თითო სავალდებულო ვარჯიშს და თითო ნებისმიერ ვარჯიშს, პირველი სამი ადგილი დაიკავეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა. ესენი არიან ლარისა ლატინინა (76,5 ქულა), თამარ მანინა (75,22 ქულა) და სოფიო მურატოვა (75,03 ქულა).

წარმატებით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ევა ბოსაკოვა. თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისას მან უმაღლესი შეფასება მიიღო. მრავალჭიდის შედეგებით ევა ბოსაკოვამ მოაგროვა 74,66 ქულა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა გუნდმა, რომელმაც 376,72 ქულა მოაგროვა, პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, მესამეზე — უნგრეთის, მეოთხეზე — რუმინეთისა და მეხუთეზე — ბულგარეთისა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ტანმოვარჯიშე ვაჟთა შეჯიბრება. XVI ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამით სავალდებულო ვარჯიშის შესრულების შემდეგ ლიდერი გახდა საბჭოთა სპორტსმენი ბორის შახლინი. მაგრამ შემდეგში ნებისმიერი ვარჯიშის შესრულების შემდეგ შახლინზე ხუთი მეასედი ქულით მეტი მოაგროვა ჩუკარინმა. მან გაიმარჯვა ამ უაღრესად საინტერესო შეჯიბრებაში. მისი შედეგია 115,7 ქულა.

მეორე ადგილზეა ბორის შახლინი, მესამეზე — ვალენტინ მურატოვი, მეოთხეზე — ალბერტ აზარიანი, მეხუთეზე — ევგენი კოროლკოვი (სსრ კავშირი). გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეებმა (570,7 ქულა).

უნგრეთის ტანმოვარჯიშეებმა 535,95 ქულა მოაგროვეს და მეორე ადგილზე გამოვიდნენ. მათ ქულის მხოლოდ ერთი მეათედით ჩამორჩა ბულგარეთის გუნდი. მეოთხე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელიც არასრული შემადგენლობით გამოდიოდა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1956 წ. 7 აპრილს, დღის 3 საათზე, ფიზიკის აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

შოთა ნესტორის-ძე გულუა

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „О теоремах типа Абеля".

2. ისტორიის, ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1956 წ. 11 აპრილს დღის 1 საათზე საქტო დარბაზში (უნივერსიტეტის ქ. № 1) იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ისიდორე სამსონის-ძე დოლიძე

დაიცავს დისერტაციის თემაზე: „ძველი ქართული სამართალი".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი

(ჯამოს ქ., 34-36)

1956 წ. 10 აპრილს დღის 2 საათზე ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ირაკლი გრიგოლის-ძე ბერიკაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „კალიუმის პერმანგანატის მიღების პროცესის შესწავლა კარბონატულ და ტუტე ხსნარებში ფერომანგანუმის ანოდური გახსნით".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — შჩელკუნჩიკი (დილას), ბორის გოდუნოვი (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ოიდიპოს მეფე (დილა-საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — რას იტყვის ხალხი (დილას), ზვავი (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — ნორა (დილას), უბედური შემთხვევა (საღამოს), სომხური დრამის — ლელა (დილა-საღამოს), მუსიკალური კომედიის—ბრწყინვალე მომავალი (დილას), ლალი ქარი (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — აჩიკუნე (აბონემენტი № 15, 12 ს.), კოჭლი მეწისქვილე (აბონემენტი № 33, 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — უჩინარი დიმა (11 ს.), ნაცარქექია (5 ს.), თოჯინების ქართული — მშვიდობის ფრთებზე (11 ს.), ორი ქოსატყუილა (2 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მწვანე ჩირაღდნები, ამირანი, სპარტაკი — მოგზაურობა არგენტინაში, კომკავშირელი, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, კომუნარების ბაღი — რუმიანცევის საქმე, 26 კომისრის სახელობის, დიდუბე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — მე და ჩემი ცოლი, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — გაცრუებული ოცნებები.

მეუღლე მარიამ, შვილები გიორგი, დავით, შალვა ოჯახებით იუწყებიან

ვასილ მაქსიმეს-ძე მაჩიტაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-III სოფელ პირველ ფერსათში (მაიაკოვსკის რაიონი).

მოქალაქე გიორგი ალექსის-ძე უთნიაშვილმა, მცხოვრებმა კალინინის ქ. № 52, აღძრა საქმე ჩალაუბნის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე ანა იასონის ასულ უთნიაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ვლადიმერ გიორგის-ძე ზუბიაშვილმა, მცხოვრებმა ძრავის ქ. № 6, აღძრა საქმე ხუთწლედის ქ. № 15 მცხოვრებ მოქალაქე რუსუდან მიხეილის ასულ ზუბიაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე სვეტლანა ივანეს ასულმა გორბაჩოვამ, მცხოვრებმა კლდიაშვილის ქ. № 12, აღძრა საქმე კლდიაშვილის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე მიხეილ აკოფის-ძე გალუსტიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს სტალინის რაიონის მეექვსე უბნის სახალხო სასამართლო.

მამა გივი, დედა ქეთო, ულუმბე, ქეთევან, შოთა, ტარიელ, აკაკი ჩაჩლეიშვილები იუწყებიან პატარა

გულნარასა და ლალის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-III სოფელ ნინოშვილში (სადგური ჯუმათი).

მეუღლე დავით, შვილები ნინო, ლიზა, ნატო, შუშანა, ელენა, დები ოლია, ქრისტინე ოჯახებით იუწყებიან

ნატალია ლუკას ასულ ნეფარიძე-დვალიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-III სოფელ ზედა ვანში (ვანის რაიონი).

შვილები შოთა, თორნიკე, ოთარ, დები ქეთევან, ნინო, ძმა ივანე ოჯახებით იუწყებიან

ვლადიმერ რაჟდენის-ძე სანებლიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-III, 8 ს. გამოსვენება 29-III, 5 ს. ბინიდან ვაჟა-ფშაველას ქ. № 21.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხმდივნისა — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77,70.

ნე 00172

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.